# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 18 ოქტომბერი 2003 №198 (1969) | ფასი 50 თეთრი


# შუშაკი იწყებს

## დინამოს პრემია, ნაკრებს ხორვატი

**საქართველოს ეროვნულ გუნდს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თამაშის პოტენცია აქვს. ოღონდ, საჭიროა მცოდნე მწვრთნელი და საქმის სწორად კეთების სურვილი**



ბადრი [illegible] ფოტო



ბადრი [illegible] ფოტო

მეთხუთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის მეორე წრე „დილა" — „კოლხეთის" უგოლო მატჩით გაიხსნა

## RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

# დღეს დიდების დღეა

## ჩვენს დიდებაზე ხვალ ვინერვიულოთ





ინგლისელი ჯონი უილკინსონი ისე ურტყამს, სამხრეთაფრიკელთა კაპიტან კორნე კრიჩეს ვინძლო, დღეს საქმე სასაცილოდ არ დაურჩეს

*ბორჯღალოსნებს აქვთ წინსვლის სურვილი და მოთხოვნილება. უშრომიათ, უწვალიათ, უომიათ და მსოფლიოს თასზე მოხვედრის შანსი არ გაუშვიათ. ახლა კი ავსტრალიაში არიან და ძლიერ მეტოქეს ეზომებიან. ესეც შანსია, დაამარცხებენ სამოას და ოვალურ დედამიწაზე კრძალვას და პატივისცემას დაიმსახურებენ. ვხედავთ, მეტოქე ძლიერია, მაგრამ უძლეველი არაა, მისი დამარცხების მცირე, მაგრამ მაინც არსებობს შანსი და ბორჯღალოსნებს არ უნდათ მისი გაფლანგვა. არჩევანი დიდი არა აქვთ, ისევ ძალით თუ დაახევინებენ ტექნიკურ მეტოქეს. რა გამოუვათ, ეს ხვალ გამოჩნდება.*

*საქართველო — სამოას ჯახამდე 24 საათით ადრე კი „სუბიაკო ოვალის" უკვე მოთელილ მწვანეს ტიტანები გადაჯეგავენ. რამდენიმე საათში ინგლისი და სამხრეთ აფრიკა შეასკდებიან ერთმანეთს, მსოფლიოს თასის ჯგუფური ეტაპის უდიდეს მატჩში.*


იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები



REUTERS სტრასბურგიდან

სტრასბური — მარსელი. მიკაელ დორსინის (№3) „სტრასბურმა“ სტივ მარლეს „მარსელი“ ძალიან შეარცხვინა

*უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მცხეთამ“ უკვე ბევრი აალაპარაკა. „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ — ვლადიმერ გუცაევის გუნდი ბობოლებსაც არ ეპუება. დღეს „მცხეთა“ კიდევ ერთ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას“ ხვდება. იმ გუნდს, რომლისგანაც პირველ ტურში გვარიანი ალიყური მოხვდა. ვეტერინარებმა მცხეთელებს 7:0 მოუგეს.*

*ასეთი გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად, „მცხეთას“ შემადგენლობაში საუკეთესო გიორგი ცინაძე იყო. 21 წლის მეკარე სხვა მატჩებშიც რიგიანად გაისარჯა და „სარბიელმაც“ პირველი ეტაპის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა.*

*გიორგი ცინაძეს გუშინ ვესაუბრეთ...*

# უფასო რეკლამა

## ცინაძის იმიჯზე დინამომ და ტორპედომ იზრუნეს

**— უმაღლეს ლიგაში ალზევებულ „მცხეთას“ საკმაოდ ხმაურიანი დებიუტი გამოუვიდა. ელოდი ასეთ წარმატებას?**

— სიმართლე გითხრათ, მთლად დებიუტიც არ მქონია. ადრე „სამტრედიაში“ მითამაშია უმაღლეს ლიგაში. ასეთ თამაშს კი ნაღდად არ ველოდი. ყველაფერი კარგად წამივიდა, თანაგუნდელებიც დამეხმარნენ და შედეგიც ჩანს. მეხუთე ადგილი ჩვენთვის საკმაოდ კარგი შედეგია.

**— გიორგი ცინაძე გულშემატკივარმა მაინც ამ სეზონში გაიცნო. როგორ დაახასიათებ საკუთარ თავს. რომელია შენი ძლიერი და სუსტი მხარე?**

— საკუთარ თავზე აბა, რა გითხრათ. გამოსვლაზე თამაში შედარებით მიჭირს. ამ ნაკლს აუცილებლად უნდა ვუშველო.

**— პლუსებზე მაინც არაფერი გითქვამს...**

— ხაზზე თამაშით კმაყოფილი ვარ. ფეხითაც ნორმალურად ვთამაშობ. მარცხენათი უფრო მიჭირს, მაგრამ თანდათან ეს პრობლემაც არ შემაწუხებს. საამისოდ დიდხანს ვვარჯიშობ.

**— რითი გამოირჩევა „მცხეთა“ სხვა გუნდებისგან? რა არის თქვენი წარმატების მიზეზი?**

— ვფიქრობ, ყველაფერს გუნდური თამაშით მივაღწიეთ. მეგობრული გუნდია და ერთმანეთსაც კარგად ვუგებთ. ვლადიმერ გუცაევისგანაც ძალიან ბევრს ვსწავლობთ.

**— ლიდერებთან ასეთ თამაშს „მცხეთისგან“ არავინ ელოდა...**

— არც ჩვენ. პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:7 რომ წავაგეთ, ვიფიქრე, მაგრად გაგვიჭირდება-მეთქი, მაგრამ მერე „ლოკომოტივი“ დავამარცხეთ და მივხვდით, რომ შეუძლებელი არაფერი იყო. ასევე იყო დანარჩენებთან. მოვინდომეთ და მოვიგეთ. ზუსტად ჩვენც არ ვიცით, რა როგორ მოხდა. ყველაფერი შრომამ მოგვიტანა.

**— „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაში ახსენე და როგორ გაიხსენებ იმ უცნაურ მატჩს?**

— თითქოს არ უნდა წაგვეგო, მაგრამ ბოლო 30 წუთში შვიდი გოლი გავუშვით. ეს სირცხვილი იყო. ასეთი არაფერი მინახავს. მიხარია, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა.

**— ახლა „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობთ...**

— რევანში გვინდა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**— მეკარისთვის შვიდი გოლის გაშვება მაინც დამთრგუნველია. არ გაგიჭირდა?**

— კი, მაგრამ ამაზე დიდხანს ფიქრი და თავის მოკვლა არ ღირდა. დიდ ანგარიშზე ყურადღება არ მიმიქცევია. ჩავთვალე, რომ უბრალოდ წავაგეთ და მორჩა. რა მოხდა მერე? ფეხბურთში ხან წააგებ და ხან მოიგებ. წაგებისთვის არავინ დაგხვრიტავს. თან ერთ-ერთ ლიდერს ვეთამაშებოდით. ასე იყო „დინამოსთანაც“. ის თამაში რომ წაგვეგო, ხომ არაფერი მოხდებოდა? ყველა ჩათვლიდა, რომ „დინამომ“ ვიღაც დებიუტანტი დაამარცხა, მეტი არაფერი. ჩვენ კი მოვიგეთ. ასე გაგვიცნო ხალხმა. ფეხბურთი წაგებით არ მთავრდება. მთავარია, იქედან სწორი დასკვნა გამოიტანო. რეკლამა კი სწორედ ლიდერების დამარცხებით გავაკეთეთ. ეს გასაკვირიც არაა.

**— ბევრი ფიქრობდა, რომ ასეთი თამაშის შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიგიწვევდნენ...**

— მეც ასე მეგონა. ვფიქრობ, ნაკრებში მოხვედრის ღირსი ვიყავი. გული კი დამწყდა, ასე რომ არ მოხდა, მაგრამ არაუშავს. ჩემი ფეხბურთი ამით არ მთავრდება.

**— მეკარეების „გიჟობა“ ყველას სმენია. თავად თუ გაქვს რაიმე უცნაური თვისება?**

— რა ვიცი, მაგაზე არც მიფიქრია. ემოციური კი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი მომდის.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— მეგობრებთან ერთად.

**— ფეხბურთელობა შენი ოცნება იყო თუ...**

— ფეხბურთის გარდა არაფერზე მიფიქრია. ექვსი წლიდან ბურთს დავსდევ და ეს საქმე ძალიან მიყვარს.

**კახა შალამბერიძე**



გიორგი ცინაძეს ნახტომი არ დაეწუნება

### ინგლისი

III დივიზიონი. XIV ტური

ნორთჰემპტონი 1:1 სკანთორპი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. IX ტური

ტრირი 1:1 უნიონი

ლიუბეკი 1:1 ოსნაბრიუკი

დუისბურგი 1:1 ობერჰაუზენი

სამხრეთ რეგიონალლიგა XII ტური

კიკერსი 1:1 ეშბორნი

ფრანკფურტი 1:2 შტუტგარტი (მ)

ზაარბრიუკენი 3:2 პფულენდორფი

ერფურტი 1:1 მაინცი (მ)

### საფრანგეთი

I დივიზიონი. X ტური

სტრასბური 4:1 მარსელი

### პორტუგალია

სუპერლიგა. VIII ტური

გიმარაეში 3:0 მორეირენსე

### სერბეთი

პრვა ლიგა. X ტური

პარტიზანი 1:0 ნაპრედაკი

### შვეიცარია

თასის I ეტაპი

კარუჟი 0:0(პენ.3:4) *მეირინი*

კრინსი 1:2 *ვინტერთური*

### ავსტრია

პირველი დივიზიონი XV ტური

ლეობენი 2:2 ვიორგლი

### ბელგია

ჟუპილერლიგა. IX ტური

შარლერუა 0:1 ანდერლეხტი

### თურქეთი

სუპერლიგა. IX ტური

რიზე 0:1 გალათასარაი

### პოლონეთი

პირველი ლიგა. IX ტური

ლეხი 5:1 ლეჩნა

### ირლანდია

პრემიერლიგა გადადებული მატჩები

შელბურნი 0:2 შემროკი

სენტ პატრიკსი 2:4 ბოჰემიანსი

დროჰედა 0:1 კორკ სიტი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XII ტური

დინამო 2:0 ილიჩევეცი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. VIII ტური

აიაქსი 5:1 ვოლენდამი

II დივიზიონი. XI ტური

ოსი 1:3 ვეენდამი

აპელდორნი 1:2 დენ ბოსხი

ტელსტარი 2:0 გრააფსხაპი

ჰერაკლესი 1:1 კამბური

დორდრეხტი 0:1 სიტარდი

იგლსი 1:4 ჰელმონდი

ვენლო 1:0 ჰაარლემი

ემენი 1:1 სპარტა

ეინდჰოვენი 3:0 მაასტრიხტი


# ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლაში დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

# ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

19 ოქტომბერი

მეათე ტური

ამერი — სამგურალი

თბილისი — წყალტუბო

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 12 ტური

# რკინის ნერვები რკინის ბადეში

ვაჟა ხუციშვილი გორიდან

შინ ზედიზედ მოგებული ექვსი მატჩის შემდეგ „დილამ“ მეშვიდეზე დაამუხრუჭა. მასპინძლებმა უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, სტუმართა კარში ბურთი ვერ შეაგორეს. პირველ წრეში ამ გუნდების ფოთური შეხვედრაც უგოლოდ დასრულდა და გუშინაც იგივე განმეორდა.

ნამატჩევს ალექსანდრე შილაკაძეს გულშემატკივართა რისხვა დაატყდა. ქართლელები მას ორ პენალტს ედავებოდნენ.

მეორე ტაიმში „კოლხეთის“ საჯარიმოში ჯერ ერთ, შემდეგ კი მეორე ფოთელ ფეხბურთელს ბურთი ხელის მტევანზე მოხვდა. შილაკაძემ ორჯერვე თამაშის გაგრძელება ბრძანა. ჩათვალა, რომ ეს განზრახ „ხელბურთი“ არ იყო.

გორელი ქომაგი პირიქით ფიქრობდა. პირველ მომენტზე ტრიბუნებიდან აქა-იქ წამოიყვირეს, მეორეზე კი უკვე ლანძღვა-გინება დაახლოებით ორი ათასი პირიდან ისმოდა.

მოედნიდან გასახდელისკენ მიმავალმა მსაჯებმა რკინის ბადით შემოსილ დერეფანში რომ გაიარეს, გააფრთებული გულშემატკივრები ბადეს მისცვივდნენ. ზოგმა შიგნით შეღწევა სცადა, მაგრამ პოლიციელებმა იყოჩაღეს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ქართლელთა გულისტკივილი გასაგებია. „დილამ“ ისინი გამარჯვებებს მიაჩვია და ერთი ვერმოგებული მატჩი, თან წლეულს დასუსტებულ „კოლხეთთან“, მწარედ განიცადეს. ეს იყო პირველი საშინაო შეხვედრა ამ სეზონში, რომელშიც „დილამ“ გოლი ვერ გაიტანა.

მთელი თამაში ცალკარა გამოდგა. ტრავმებით გატანჯულ ზღვისპირელებს თადარიგში სულ სამი ფეხბურთელი ჰყავდათ. ფოთელები 90 წუთის განმავლობაში დაცვას ადუღაბებდნენ. მეტოქის ნახევარზე ძალიან იშვიათად გადადიოდნენ და მათი შეტევები კარში ერთხელ დარტყმით შემოიფარგლა.

„დილამ“ მატჩის უდიდესი ნაწილი კოლხთა სანახებში გაატარა. მასპინძლები პირველ ტაიმში ნელა და უნიათოდ უტევდნენ. სისწრაფე აკლდათ და სტუმარ მცველებსაც იერიშების მოგერიება არ გასჭირვებიათ. მიუხედავად ამისა, გორელებმა სამი ხელსაყრელი მომენტი მაინც შექმნეს, რომელთაგანაც ერთი ასპროცენტიანი იყო. ბექა ჩიტაიას მეკარეღა შერჩა, მაგრამ ბურთი ბათიაშვილს გაარტყა.

შესვენების შემდეგ გორელებმა ტემპს უმატეს და „კოლხეთს“ დიდი ჯაფა დაადგა. აშკარად ჩანდა, რომ „დილამ“ ფრთებიდან შეტევები გააძლიერა და სტუმართა მცველები ორმხრივი ფლანგური ჩაწოდებებისას დალაგებას ვეღარ ასწრებდნენ.

ამ თავბრუსხვევაში ოლგესაშვილმა კარის ხაზის წინ ბურთი გაასრიალა, ახლო ძელთან ძოძუაშვილი იდგა, შორეულთან ბექა ჩიტაია, მაგრამ ფეხი ორივემ ააცილა.

მეორე ტაიმის შუაწელში ბექას უკეთესი მომენტი ჰქონდა, ვიდრე პირველში. მან ბურთი ამჯერადაც კარიდან წინ გამოსულ ბათიაშვილს ჩააბარა.

შეხვედრის მიწურულს ჯობაძის შორეული დარტყმულს, ძოძუაშვილის თავურს და საჯარიმოს გარედან ლომიძის გასროლილს ხეირი არ მოჰყოლია.

მატჩის ბოლო წუთებზე ერთი კონტრშეტევა სტუმრებმაც გაჩარხეს, მაგრამ სოლოლაშვილმა ივარგა და მეტოქეს ბურთი ფეხიდან ააცალა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 7 | 2 | 2 | 26:5 | 23 |
| დილა | 12 | 7 | 2 | 3 | 16:8 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 17:5 | 22 |
| სიონი | 11 | 5 | 5 | 1 | 12:6 | 20 |
| მცხეთა | 11 | 5 | 1 | 5 | 14:20 | 16 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ტორპედო | 11 | 4 | 2 | 5 | 9:10 | 14 |
| კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| ბათუმი | 11 | 3 | 1 | 7 | 8:14 | 10 |
| სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:23 | 9 |
| მერცხალი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:23 | 8 |

გორი. 17 ოქტომბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 2 000 (ტევ. 8 230)

## დილა 0:0 კოლხეთი

**დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, სანაპურიძე, ლომიძე, ლაცაბიძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია (ოლგესაშვილი 40), რაზმაძე, ჯობაძე (მარლიშვილი 64), ბ. ჩიტაია, ძოძუაშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; გ. კაიდარაშვილი, მასურაშვილი, ხანიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, ლონლაძე, ბალათურია, სვანაძე, მ. ქობულაძე, თაყაძე (ნ. ნარსია 60), შალამბერიძე, მარგალიტაძე, ხურცილავა, გ. ტყებუჩავა (გურგენიძე 46)
*სათადარიგო:* ჩემია
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**გაფრთხილება:** ბათიაშვილი (61), ქუტიძე (75)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 11-16; კუთხური: 8-1; კარში დარტყმა: 6-1; კარისკენ დარტყმა: 4-4; თამაშგარე 1-1



თამაში ფიცხელი გამოდგა, ოღონდ უგოლო

# მე და ჩემი დინამო

## ივო შუშაკი: კლუბს პრემია, ნაკრებს — ჩვენ



*გუშინ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მეორე წრე დაიწყო. ჩემპიონი და ლიდერი თბილისის „დინამო“ ხვალ იწყებს. იგი აუტსაიდერ „სპარაკს“ ესტუმრება.*

*„დინამოს“ მეორე წრემდე იძულებით ერთკვირიანი დასვენება მოუწია. უფრო სწორად, გუნდი ორად იყო გაყოფილი, ცხრა ფეხბურთელი რუსეთთან მატჩისთვის ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებში გამოიძახეს, ერთიც 19-წლამდელებს ესტონეთში ახლდა. არც მწვრთნელი ივო შუშაკი იყო თბილისში, ის მოსკოვურ მატჩებს დაესწრო, შემდეგ კი ხორვატიაში გაემგზავრა და გუნდს ორიოდ დღის წინ დაუბრუნდა. დაბრუნდა და ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. მეორე წრის დაწყებამდე პრესკონფერენცია მოიწვია და „დინამოს“ გარდა ეროვნულ გუნდზეც გვესაუბრა*

– ახლა რომ ჩემპიონატის ბოლო იყოს, ეს ყველაზე კარგი იქნებოდა, ჩვენ ხომ ლიდერები ვართ — დაიწყო ივო შუშაკმა — უნდა ვაღიარო, პირველი წრის შემდეგ გუნდის თამაშით მთლად კმაყოფილი არ ვარ. შეგვეძლო, სამი ქულით მეტი მოგვეპოვებინა. თუმცა ქულათა რაოდენობას წინასწარ აბა, ვინ გამოთვლის. იყო მატჩები, როცა ჩემმა გუნდმა შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინა, თუმცა, საბედნიეროდ, ასე ერთი-ორჯერ მოხდა, სხვა დროს კი „დინამო“ თავის დონეზე იდგა.

...ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, ლიდერობის შენარჩუნებაა და თამაშის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესება. გვჯერა, რომ ასეც იქნება. ფეხბურთელებს ამის სურვილიც აქვთ და შესაძლებლობაც. წლეულს ისეთი გუნდები გამოჩნდნენ, რომლებიც შარშან სამეულში არ იყვნენ — „დილამ“ და „სიონმა“ შემადგენლობა გააძლიერეს და ახლა ყველა გუნდისთვის სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. მათი მოღონიერება კი ჩემპიონატის დონეს ამაღლებს. დარწმუნებული ვარ, ექვსეულის გუნდებს შორის ქულებში მინიმალური სხვაობა იქნება. მისასალმებელია, რომ საქართველოში „დილასა“ და „სიონის“ სახით ორი ძლიერი გუნდიც გამოჩნდა. აღარაფერს ვამბობ „ტორპედოზე“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივზე“.

–გამოცდილი მწვრთნელი ვარ. ვცდილობ, რასაც ვიტყვი არგუმენტებით გავამყარო. ფეხბურთელებისთვის პრემია უდიდესი სტიმულია. მათი მოტივაცია ყოველი კონკრეტული შემთხვევის წინ ერთი-ორად იზრდება. ჩვენმა გუნდმა კი 3-5 ქულა სწორედ მაშინ დაკარგა, როცა ფეხბურთელებს შესაბამისი განწყობა არ ჰქონდათ და ბოლომდე კონცენტრირებულნი არ იყვნენ. საერთოდ, სპორტსმენი მაღალ ხელფასს 7-8 წლის განმავლობაში იღებს, როცა სხვები 40-50 წელიწადს უზრუნველყოფილნი არიან. რატომაა, რომ მძლეოსნობაში რეკორდებს ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და „ოქროს ლიგაში“ უფრო ხშირად ამყარებენ? იმიტომ, რომ ამ შეჯიბრებებისას სპორტსმენებს უდიდესი ფინანსური სტიმული აქვთ. მოკლედ, მაღალი შედეგების მისაღწევად სპორტსმენი დაინტერესებული უნდა იყოს, სტიმული სჭირდება.

...ტრავმები, სამწუხაროდ, ფეხბურთის თანხმლებია. ჩემი აქ არყოფნისას გუნდი ძველებურად ვარჯიშობდა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი ჯანზე ვერ დამხვდა. წერეთელი ბათუმში პირველი წრის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა, ვარჯიშზე ფეხი იტკინა ექონიამ, კარლოსს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ორი დღეა ისვენებს, ბობოხიძე რუსეთთან შეხვედრისას დაშავდა. თუმცა ეს არაფერი. ტრავმიანობაზე შუშაკი არ წუწუნებს-ხოლმე. თანაც უკვე ფორმა აღიდგინეს ანჩაბაძემ და ხიზანეიშვილმა.

...რუსეთთან წაგების მიუხედავად, არც ეროვნულ, არც ახალგაზრდულ ნაკრებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს შეუძლია წარმატებით თამაში. ჩვენ გვაქვს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე თამაშის პოტენცია, ოღონდ, როგორც ვთქვი, მთავარია, სწორი ორგანიზაცია. რუსეთთან ქართველებმა ტოლ-სწორად ითამაშეს, რუსეთი კი საკმაოდ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდია, ფეხბურთის კენწეროსკენ ისწრაფვის და როცა ასეთ მეტოქეს თამაშის გარკვეული პერიოდისას სჯობნი კიდეც, თანაც სტუმრად, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

...მოსკოვურ მატჩს რომ დავესწარი, რა გასაკვირია. ჯერ ერთი, რუსეთთან ცხრა დინამოელი თამაშობდა და მეორეც, მწვრთნელი ვარ და მინდოდა, ასეთი შეხვედრა „ცოცხლად“ მენახა.

...არ მსურს, ჩემმა სიტყვებმა ვინმეზე გავლენა იქონიოს, მაგრამ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან სჭირდება მწვრთნელი. ეს რეკლამა არაა. აქ მთავარი მენტალიტეტის საკითხია. ყოფილ იუგოსლავიას კი იმიტომ ვახსენებ, რომ ჩვენ ერთ საბჭოურ სივრცეში ვცხოვრობდით და თითქმის ერთი და იგივე ცხოვრების წესი გვქონდა. სერბიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში არიან მაღალი დონის მწვრთნელები, რომლებიც, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს გამოადგებიან, თუმცა, რა თქმა უნდა, არც დასავლეთევროპელი სპეციალისტების შესაძლებლობებს ვაკნინებ. არც მოსკოვში, არც აქ ფეხბურთის ფედერაციისთვის მწვრთნელის თაობაზე არანაირი რეკომენდაცია არ მიმიცია.

...დასამალი არ არის, სხვადასხვა კლუბიდან მართლაც მქონდა წინადადებები, მაგრამ „დინამოდან“ წასვლას არ ვაპირებ. ამ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს. თანაც ჩემი საქმე ბოლომდე არ შემისრულებია. სხვათა შორის, „დინამოს“ ხელმძღვანელობას კონტრაქტის მიხედვით აქვს უფლება, თანამშრომლობის ვადა გამიხანგრძლივოს. როცა რუსეთის, თუნდ სხვა ქვეყნის ამბიციური კლუბი მეპატიჟება, ეს, რა თქმა უნდა, „დინამოსა“ და ჩემი პრესტიჟი არის. თუმცა სათქმელი უკვე ვთქვი — არსად არ მივდივარ, აქ ვარ და ჩემს საქმეს ბოლომდე გავაკეთებ.

...ხორვატია — სლოვენიის ევროპის ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩი ძალიან დაძაბული იქნება, ისეთი, როგორიც მეზობლებს შორის არის ხოლმე. ადრე სლოვენია ხორვატიას ვერ შეედრებოდა, თუმცა ახლა მოღონიერდა და ბოლო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე სწორედ პლეი ოფით მოხვდა, ჯერ უკრაინას მოუგო, შემდეგ — რუმინეთს. ვფიქრობ, ამ წყვილში მცირე უპირატესობა მაინც ხორვატიისკენაა.

ქობა ინასარიძე

## იტალია

პაპუნა კადია





სიმონე და ფილიპო ინძაგები: ძმები ერთმანეთს საგოლედ წაეკიდებიან

# ინძაგობა სან სიროზე ანუ იტირე დემეტრიო

**VI ტური**

**დღეს**

ანკონა — იუვენტუსი
ბრეშა — ინტერი

**ხვალ**

ბოლონია — პერუჯა
კიევო — სამპდორია
მილანი — ლაციო
მოდენა — ლეჩე
რეჯინა — სიენა
რომა — პარმა
უდინეზე — ემპოლი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:5 | 13 |
| მილანი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| რომა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 11 |
| პარმა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:5 | 11 |
| ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| კიევო | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| მოდენა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| სიენა | 5 | 1 | 3 | 1 | 7:4 | 6 |
| სამპდორია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ბრეშა | 5 | 1 | 2 | 2 | 10:13 | 5 |
| რეჯინა | 5 | 0 | 4 | 1 | 7:9 | 4 |
| ბოლონია | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| პერუჯა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:10 | 3 |
| ლეჩე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:14 | 3 |
| ემპოლი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:15 | 2 |
| ანკონა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

**ტურის** მთავარი თამაში, ეჭვი არ არის, ხვალ „სან სიროზე" საქართველოს დროით ღამის თორმეტის ნახევარზე გაიმართება: „მილანი" „ლაციოს" მასპინძლობს. გავიხსენოთ წინა სეზონი, როდესაც რომაელები მასპინძლებს 2:0-ს უგებდნენ, ხოლო საბოლოოდ შეხვედრა 2:2 დასრულდა. ხვალაც ასეთი დაძაბულობაა მოსალოდნელი, მეტოქეები ყველა ღონეს იხმარენ, რათა ერთმანეთს სივრცეები შეუზღუდონ, თავად კი სწრაფი, გამომგონებლური ფეხბურთი შემოგვთავაზონ.

„ინტერთან" ჩინებული თამაშის შემდეგ „შავ-წითელი" თავდამსხმელების, ფილიპო ინძაგისა და ანდრეი შევჩენკოს უკან რუი კოშტას მაგივრად ისევ ბრაზილიელ კაკას ვიხილავთ, თუმცა ამბობენ, არც კაკასა და რუი კოშტას ერთად თამაში უნდა იყოს გამორიცხულიო. გავიხსენოთ, რომ ეს ორი ფეხბურთელი ერთად კარლო ანჩელოტიმ „ლეჩესთან" ათამაშა და 3:0 მოიგო. სხვა საქმეა, რომ კაკასა და რუი კოშტას ერთად თამაში ზედმეტად შემტევ გუნდს ნიშნავს და ასეთი გაბედულება „ლაციომ" კონტრშეტევით შეიძლება დასაჯოს.

თავის ყოფილ გუნდს შავ-წითელი მაისურით ალესანდრო ნესტა და ჯუზეპე პანკარო დაუპირისპირდებიან: პანკარო იმიტომ, რომ დაშავებული კახა კალაძე ჯერ კიდევ არ არის სათამაშოდ მზად.

სტუმრები ფლანგებით იქნებიან ძლიერი, მით უფრო, რომ კოჭის პრობლემა სერჟიუ კონსეისაუმ მოიგვარა. სეზარი კი რვა კვირით გამოაკლდება თანაგუნდელებს — მარცხენა ფეხი ორ თვეში მეორედ დაიზიანა. მის მაგივრად ნახევარმცველობას მასიმო ოდო ითავებს.

შეტევაში ითამაშებს სიმონე ინძაგი, რომელიც მშვენიერ ფორმაშია და შეეცდება ძმის გუნდს გოლები გაუტანოს, კლაუდიო ლოპესი კი, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდება.

განსაკუთრებით ემოციური კი ეს საღამო დემეტრიო ალბერტინის გამო იქნება. ალბერტინი „სან სიროზე" ოპონენტად ჩადის — გაუგონარია. ეს ნახევარმცველი ხომ „მილანს" თოთხმეტი წლის მანძილზე ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა.

კიდევ, ამ ტურის მნიშვნელოვან თამაშთა შორის აღსანიშნავია „რომასა" და „პარმას" დაპირისპირება. წინა ტურში „სიენასთან" ფრის გამო ფაბიო კაპელოს გუნდმა ლიდერობა დაკარგა. პირველ ტურებში ისე ჩანდა, რომ „რომას" გამჩერებელი არავინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს... თან დახედეთ ცხრილს, რომაელებს და პარმელებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ.

დაშავებულებზე იმის თქმა შეიძლება, რომ „რომაში" მარკო დელვეკიო დეკემბრამდე ვერ ითამაშებს, ვინჩენცო მონტელა, იონ კარეუ, კრისტიან პანუჩი, ლუიჯი სარტორი, დამიანო ტომაზი და ვენსან კანდელა კი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მთლად ჯანზე ვერ არიან.

ხოლო „პარმას", რაც მთავარია ადრიანო ჰყავს. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს ხუთ თამაშში ექვსი გოლი აქვს გატანილი.

ჩემპიონი „იუვენტუსი" ანკონაში თამაშობს. ეს დღეს, ღამის თორმეტის ნახევარზე მოხდება. „ბებერ ქალბატონს" არ ეყოლებიან ალესანდრო დელ პიერო და ალესანდრო ბირინდელი. დავიდ ტრეზეგეს მარჩელო ლიპი სავარაუდოდ, დაასვენებს ანუ თავდასხმაში მარკო დი ვაიოს და ფაბრიციო მიკოლის ვიხილავთ.

„ინტერი" ბრეშაშია, ხოლო მისი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ხიფათში — კიდევ ერთი ფეხის დაცდენა და შეიძლება მოხსნან. სამაგიეროდ გამოჯანმრთელდა ალვარო რეკობა, თუმცა... რობერტო ბაჯო და ლუიჯი დი ბიაჯო ამბობენ, რომ „შავლურჯებს" ბოროტად იგონებენ (ორივე იქიდან არ გამოაგდეს?) და ყველა ღონეს იხმარენ, სამი ქულა რომ დაატოვებინონ.

## ინგლისი

# ფრთხილად, კლაუდიო!

## ლონდონელი არისტოკრატები თოფის ქვეშ

**IX ტური**

**დღეს**

არსენალი — ჩელსი
ფულემი — ვულვზი
ლიდსი — მანჩესტერი
სიტი — ბოლტონი
მიდლსბრო — ნიუკასლი
პორტსმუთი — ლივერპული

**ხვალ**

ბირმინგემი — ასტონ ვილა
ევერტონი — საუთჰემპტონი
ლესტერი — ტოტენჰემი

**ზეგ**

ბლექბერნი — ჩარლტონი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 8 | 6 | 2 | 0 | 18:7 | 20 |
| არსენალი | 8 | 6 | 2 | 0 | 16:6 | 20 |
| მანჩესტერი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:3 | 19 |
| ბირმინგემი | 8 | 4 | 3 | 1 | 8:5 | 15 |
| ფულემი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:9 | 14 |
| სიტი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:9 | 12 |
| საუთჰემპტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| ლივერპული | 8 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 11 |
| ჩარლტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| პორტსმუთი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:9 | 9 |
| ბლექბერნი | 8 | 2 | 2 | 4 | 15:16 | 8 |
| ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | 8 |
| ასტონ ვილა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| ბოლტონი | 8 | 1 | 5 | 2 | 6:12 | 8 |
| ლიდსი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:17 | 8 |
| მიდლსბრო | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | 7 |
| ნიუკასლი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | 6 |
| ლესტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:15 | 5 |
| ვულვზი | 8 | 1 | 2 | 5 | 3:18 | 5 |

**„არსენალისა"** და „ჩელსის" დღევანდელი მატჩის მოლოდინმა ინგლისში აპოგეას მიაღწია. ბოლო წლებში პირველად ხდება, რომ ამათი ბრძოლის გამო მეტი ხმაურია ამტყდარი, ვიდრე „მანჩესტერი" — „არსენალისა". ამგვარი აჟიოტაჟის მიზეზებს სანთლით ძებნა სულაც არ სჭირდება. ერთი, რომ რომან აბრამოვიჩმა ამ ზაფხულს ისეთი ამბები დაატრიალა, „ჩელსი" მთელ ევროპაში მთავარ ნიუსმეიკერ კლუბად იქცა. მეორე მიზეზი კი სატურნირო ცხრილიდან გამომდინარეობს — „არსენალი" და „ჩელსი" პრემიერლიგას თანაბარი ქულებით ლიდერობენ. და კიდევ, მართალია, დიდ ლონდონურ დერბად „არსენალ" — „ტოტენჰემს" მოიხსენიებენ, მაგრამ ესეც ხომ დერბია.

ამ ტურის მერე პრემიერლიგას უეჭველად ერთპიროვნული ლიდერი გაუჩნდება. კი ბატონო, დიდი შანსია, ლონდონური დერბი ფრედ დასრულდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში „მანჩესტერ იუნაიტედს" ეძლევა პირველ ადგილზე აბარგების შანსი. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ლიდსში თამაშობს და კაცმა რომ თქვას, რატომ ვერ უნდა მოიგოს?

ლონდონურ მატჩს მივუბრუნდეთ. კლაუდიო რანიერი, მართალია, ჩემპიონობით იქადნება, მაგრამ „არსენალთან" მატჩს დიდი სიფრთხილით ეკიდება და მოვიგებთო, ვერ ამბობს. ვერც იტყვის, რადგან ამ გუნდების ბოლო ათ შეხვედრაში „არსენალს" აშკარა უპირატესობა აქვს. „მეთოფეებმა" ხუთი თამაში მოიგეს და ხუთიც ფრედ დასრულდა. რანიერის და ვენგერის დაპირისპირებათა ისტორიიდან კი დღესაც ახსოვთ სამი წლის წინანდელ მატჩი, რომელსაც „ჩელსი" 2:0 იგებდა, ვენგერმა კი მოედანზე ნვანკვო კანუ შეუშვა და ნიგერიელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა.

„მეთოფეთა" სასარგებლოდ ერთი გარემოებაც მეტყველებს: „ჩელსის" ხომ მართლაც ძლიერი მეტოქე ჯერ არ შეხვედრია.

ახლა კი, როცა ანონსისთვის გამოყოფილი ადგილის ნახევარი ტურის მთავარ მატჩს დავუთმეთ, სხვა შეხვედრებზეც ვთქვათ.

„ლიდსს" დაუბრუნდნენ ტრავმამოშუშებული მარკ ვიდუკა, ჯერმენ პენანი, რომელიც მოწამლული იყო, დისკვალიფიკაციამოხდილი როკე ჟუნიორი, მაგრამ ისევ არ ეყოლება იან ჰარტი და ჯოდი მორისი. „მანჩესტერი" კი იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რომლითაც წინა ტურში „ბირმინგემს" სძლია.

„ლივერპული" პორტსმუთში ჩადის და მაიკლ ოუენის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ისე, მერსისაიდელებმა ოუენის გარეშე უეფას თასზე „ოლიმპია" დაამარცხეს. „პორტსმუთმა" კი შესაშური სტარტის მერე, მოგეხსენებათ, პოზიცია რამდენადმე დათმო.

უეფას თასზე „ლოკერენთან" შეხვედრისას ფეხი იტკინა ტრევორ სინკლერმა, რაც ნიშნავს, რომ „ბოლტონის" წინაალმდეგ ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, „მანჩესტერ სიტის" კლაუდიო რეინა, ჯოი ბარტონი, ანტუან სიბიერსკი და ეიალ ბერკოვიჩი დაუბრუნდებიან.

სტუმრებს არ ჰყავთ იური ჯორკაეფი და იბრაჰიმ ბა, ხოლო მარიო ჟარდელი თამაშის დაწყებას სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე შეხვდება.





არსენ ვენგერმა შესაძლოა კლაუდიო რანიერის სამსახური დააკარგვინოს

# გერმანია

დავით თავართქილაძე

# ეს იქნება სველი მუსიკალური ანტრაქტი შტუტგარტისთვის



ტიმო ჰილდებრანდი

**სანამ ტურის** მთავარ მატჩებზე მოგახსენებდეთ, ერთი ვთქვათ — გუშინ ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ვორფელდერი ვინძლო სასამართლოს წინაშე წარსდგეს. მაიერ-ვორფელდერი 1997-00 წლებში „შტუტგარტის" დირექტორატში მუშაობდა და სწორედ მაშინდელი ფინანსური დარღვევები ამოუქექეს. მის გარდა ეჭვმიტანილთა სიაში კიდევ ექვსი ადამიანია.

„შტუტგარტი" კი ამჯერად აუცილებლად უნდა გატყდეს — ფელიქს მაგათის გუნდი თომას შააფისას ეახლება ბრემენში. „შტუტგარტს" და მის მეკარე ტიმო ჰილდებრანდს ამ ბუნდესლიგაში ჯერ გოლი რომ არ გაუშვიათ, რეკორდული ამბავია, მაგრამ დახეთ, რა გუნდს ხვდება დღეს „შტუტგარტი". ბრემენის „ვერდერმა" ბოლო ორ ბუნდესლიგურ შეხვედრაში ცხრა გოლი გაიტანა — 4:1 „კიოლნს" მოუგო, 5:3 „ვოლფსბურგს", ანუ ბოლო ორ მატჩში იმდენი შეაგდო, რაც რვა შეხვედრაში „შტუტგარტს" ვერ გაუტანია. ისედაც, „ვერდერი" ბუნდესლიგაში ყველაზე გოლხვავიანი გუნდია. ჰილდებრანდის „სიმშრალე" აილტონმა უნდა „დაასველოს" — ხუმრობის ხასიათზე არიან ბრემენელი „მუსიკოსები". მოკლედ, საპორტო ქალაქში დღეს მძაფრი თამაშია.

გონებანი გონიერსა — ჰუუ სტევენსმა ტვინი თუ არ იჭყლიტა და იღბალმაც არ გადმოხედა, ალბათ უმუშევარი დარჩება. ჰოლანდიელის მიერ გაწვრთნილ ბერლინის „ჰერტას" ამ ბუნდესლიგაში ჯერაც ვერ მოუგია, ხოლო, უეფას თასიდან ახლახან პოლონურმა „გროცლინმა" დაიფრინა. არადა, „ჰერტა" დღეს ლიდერ „ლევერკუზენს" მასპინძლობს. სტატისტიკაც სტევენსის წინააღმდეგია — ბოლო ცხრა ბერლინური მატჩიდან ლევერკუზენელებმა მხოლოდ ორი წააგეს.

გლადბახში სახელიანი გუნდების მატჩია, თუმც დღეს ისინი სხვადასხვა პოლუსებზე არიან, მაგრამ ეს ხომ თავისებური დერბიცაა. თავად განსაჯეთ — მიონხენგლადბახში მიუნხენის „ბაიერნმა" ბოლო 14 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოუგო იქაურ „ბორუსიას". გლადბახელებს ახალი მწვრთნელის ჰოლგერ ფახის ხელში ჯერ თამაში არ მოუგიათ.

თითქმის ოთხი ათეული წელია, „ჰანოვერს" დორტმუნდში არ გაუმარჯვია, მაგრამ კერკეტი გუნდი რომაა, წყალი არ გაუვა. ასე რომ, „დორტმუნდს" დიდი ბრძოლა ელის.

ერთი შეხედვით, ადვილი გასვლა აქვს ჩვენებურთა „ფრაიბურგს", მაგრამ „კიოლნი" რომ ბოლო ადგილზეა, ეს ნუ მოგატყუებთ. გერმანიაში თითქმის ყველა იმას ამბობს, „კიოლნის" აუტსაიდერობა დროებითი და შემთხვევითია, ეს გუნდი გაცილებით კარგი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე ბოლოადგილოსანს ეკადრებაო.

**IX ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ვოლფსბურგი | — | ჰანზა |
| გლადბახი | — | ბაიერნი |
| ჰერტა | — | ლევერკუზენი |
| ვერდერი | — | შტუტგარტი |
| კიოლნი | — | ფრაიბურგი |
| მიუნხენი | — | აინტრახტი |
| დორტმუნდი | — | ჰანოვერი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| შალკე | — | ბოხუმი |
| ლაუტერნი | — | ჰამბურგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 8 | 6 | 1 | 1 | 21:9 | 19 |
| ლევერკუზენი | 8 | 6 | 1 | 1 | 18:6 | 19 |
| შტუტგარტი | 8 | 5 | 3 | 0 | 9:0 | 18 |
| ბაიერნი | 8 | 5 | 2 | 1 | 21:12 | 17 |
| დორტმუნდი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 16 |
| ბოხუმი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:10 | 12 |
| ფრაიბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:11 | 12 |
| ვოლფსბურგი | 8 | 4 | 0 | 4 | 17:18 | 12 |
| ჰანოვერი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:15 | 11 |
| შალკე | 8 | 2 | 4 | 2 | 10:12 | 10 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:11 | 10 |
| ჰამბურგი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | 8 |
| ლაუტერნი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| ჰანზა | 8 | 1 | 2 | 5 | 10:16 | 5 |
| აინტრახტი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | 5 |
| ჰერტა | 8 | 0 | 5 | 3 | 6:13 | 5 |
| გლადბახი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |
| კიოლნი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:14 | 4 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# კამპ ნოუ პუხოვს ითხოვს

**VII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| ალბასეტე | — | სოსიედადი |
| სელტა | — | რეალი |
| ბარსელონა | — | დეპორტივო |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ბილბაო | — | ვილიარეალი |
| ატლეტიკო | — | მალიორკა |
| რასინგი | — | მალაგა |
| სევილია | — | ბეტისი |
| ვალენსია | — | ესპანიოლი |
| სარაგოსა | — | ვალიადოლიდი |
| ოსასუნა | — | მურსია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 5 | 1 | 0 | 9:1 | 16 |
| დეპორტივო | 6 | 5 | 0 | 1 | 15:5 | 15 |
| რეალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ოსასუნა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 11 |
| ვილიარეალი | 6 | 2 | 4 | 0 | 7:4 | 10 |
| სოსიედადი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:4 | 9 |
| ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| სევილია | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| ბილბაო | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:5 | 8 |
| მალაგა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ვალიადოლიდი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:16 | 7 |
| სელტა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| მურსია | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| მალიორკა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| სარაგოსა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:8 | 4 |
| ატლეტიკო | 6 | 1 | 1 | 4 | 2:10 | 4 |
| ალბასეტე | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| ესპანიოლი | 6 | 0 | 2 | 4 | 7:12 | 2 |

**უეფას თასზე** „პუხოვის" განადგურების შემდეგ, „ბარსელონა" დღეს „კამპ ნოუზე" საპრიმერო ძალებს უკვე გალისიურ „დეპორტივოსთან" მოსინჯავს. თქმა არ უნდა, კატალონიურ-გალისიური ჯახი დიდად მძინვარე იქნება და ესპანელთა სპორტულმა მედიამაც შაბათის შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ატეხა აჟიოტაჟი (მოგეხსენებათ, 5 ოქტომბრიდან მოყოლებული პრიმერადივიზიონში ორკვირიანი სანაკრებო პაუზა სუფევდა). მთავარი აქცენტი „ბარსას" უიღბლო საშინაო მატჩებზე კეთდება. კატალონიურმა გრანდმა ამ სეზონში „კამ ნოუზე" ჩატარებული 3 თამაშიდან 1 წააგო და დანარჩენი 2 ოდენ ფრედ დაამთავრა. ამჟამად ფრანკ რაიკარდის გუნდი სატურნირო ცხრილში „ორმაგი ცხრიანით" (მე-9 ადგილი, 9 ქულა) აღინიშნება და პრიმერაში წარუმატებელი გამოსვლით გაცოფებულ ინჩასთა ნდობის სასწრაფოდ აღდგენას საჭიროებს. „დეპორს" ბარსელონელთა ძირითადი საბრძოლო ბირთვი დაუპირისპირდება, გარდა პატრიკ კლუივერტისა, ვინც ევრო 2004-ის შესარჩევებში მიღებული ტრავმის გამო სტადიონს ოდენ მაყურებლად მიაკითხავს. ხავიერ ირურეტას შეგირდები კი „კამპ ნოუს" პაემანს უიმედოდ სულაც არ უცქერიან: „ვიცი, რომ „ბარსასთან" რთული მატჩი გვიწევს, მაგრამ ჩვენი მიზანი მაინც მოგება იქნება" — განაცხადა გალისიელთა ურუგვაელმა მთავარმეგოლეემ ვალტერ პანდიანიმ. თუ ოკეანისგაღმელი ვალტერი შეეცდება, თავისი სიტყვა საქმედ აქციოს, ერთი უხერხული ტრადიციის დარღვევა მოუწევს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში „დეპორტივოს" კატალონიაში სტუმრობა ოდენ ორჯერ დაგვირგვინდა გამარჯვებით — 6 შეხვედრა მასპინძელთა ნადავლად დატოვეს და ორიც ფრე გაახერხეს. ასეა თუ ისე, დღევანდელი პრიმერას მეორეადგილოსანი პანდიანი, ტრისტანი და კომპანია „კამპ ნოუდან" 3 ქულის წაღებას გეგმავს.



„დეპორტივოსთან" კატალონიელთა უპირველესი იმედი ბრაზილიელი რონალდინიოა

დანარჩენი შეხვედრებიდან „ატლეტიკო" — „მალიორკასა" და „სელტა" — „რეალის" ბრძოლებია აღსანიშნავი. ახლა უკვე კუნძულელთა ბანაკში მყოფი ლუის არაგონესი, მადრიდელ ათლეტთა სათაყვანო კაცი, თავისი ოდინდელი კლუბის დამარცხებას აპირებს. „ატლეტიკოს" წაბორძიკების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, ამ გუნდის თავკაცთა საბჭომ უიღბლო დამრიგებელი გრეგორიო მანსანო (6 მატჩიდან 1 მოგება) ჯანდაბას იქით, ან დიპლომატიურად რომ ვთქვათ, საპატიო შესვენებაზე გაგზავნოს. მიგელ ანხელ ლოტინას „სელტას" კი სრული ვარსკვლავური არტილერიით აღჭურვილ სამეფო გუნდთან მოუწევს ომის გადახდა. „რეალის" მწვრთნელ კარლუშ კეიროშის სიტყვებიც ამას მოწმობს: „ჩემი ყველა ძირითადი მობურთალი მწყობრშია. ვიგოში „რეალს" მოგების ძალიან დიდი შანსი აქვს".

# უეფას თასი 2003-2004. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

შალკე (გერმანია) 1:0 კამენი (ხორვატია) (0:0)
უიჩკოვი (ჩეხეთი) 0:1 ბრონდბიუ (დანია) (0:1)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:0 კაიზერსლაუტერნი (გერმანია) (2:1)
კერნტენი (ავსტრია) 0:1 ფეიენოორდი (ჰოლანდია) (1:2)

# შალკე - ჰანკე
## რატომ ვართ აქ? ზუტებირი გვყავს


REUTERS გელ ზუნჯოჩნუნიდან

მაიკ ჰანკეს სიხარული იუპ ჰაინკესის სიხარულიცაა

**ხორვატიული** „კამენის" მეკარე მარიო გალინოვიჩს 14 წუთიც რომ გაეძლო, ვინძლო სენსაციაც კი გამოეცხოთ სტუმრებს.

„აუფშალკეზე" შეკრებილი 52 600 მოსეირე მეკარის ბრწყინვალე თამაშის მოწმე შეიქნა. იგი ანიბალ მატელანის, ფილიპ ტროიანის, ტომაშ ჰაიტოსა თუ ვიქტორ აგალის უძლიერესად დარტყმულებს გადაელობა. ამათგან ყველაზე უძნელესი კი გალინოვიჩმა ნიგერიელ აგალის აუღო, როცა ამ უკანასკნელმა თორმეტიოდე მეტრიდან ძლიერად გაისროლა.

გერმანელები ბედმა მაინც არ გაწირა. იუპ ჰაინკესმა, როგორც ჩანს, გონივრული და მართებული შეცვლა გააკეთა, 66-ეზე ახალგაზრდა თავდამსხმელი მაიკ ჰანკე შეუშვა მინდორზე და მანაც მწვრთნელს 10 წუთში გაუმართლა — 19 წლის ჰანკემ დარიო როდრიგესის ფლანგიდან ჩაკიდებულს მოხდენილი თავური შეაგება და მეკარე გალინოვიჩს ერთადერთი და, როგორც გაირკვა, საბედისწერო შეცდომა დააშვებინა, ხორვატმა გოლკიპერმა ცხრიანში მიმავალ ბურთს თვალიღა გააყოლა.

ერთი-ორი მომენტი სტუმრებსაც ჰქონდათ. დებიუტშივე ალექსანდრ კოპუნოვიჩის მიზანმა უმტყუნა, თავდამსხმელმა ზორან ზეკიჩმა კი 15 მეტრიდან სულაც ფრანკ როსტის კარის ხარიხა შეაზანზარა.

„აუფშალკეზე" თუ მეკარე გალინოვიჩი გამოირჩა, კლაგენფურტის „ვერტერზეზე" ასევე სტუმართა გოლკიპერმა გამოიდო თავი. რომ არა „ფეიენოორდის" ედვინ ზუტებირი, ჰოლანდიელები უეჭველად ხელმოცარულნი გაემგზავრებოდნენ შინ. ერთი სიტყვით, „ფეიენოორდი" რომ ახლა უეფას თასის მეორე ეტაპზეა, როტერდამელები სწორედ მას უნდა უმადლოდნენ.

გაიტანა მე-15 წუთზე ჰოლანდიელთა ბელგიელმა ფორვარდმა თომას ბუფელმა ადრიანი გოლი და ბერტ ვან მარვიიკის შეგირდებიც დაცვაში ჩასხდნენ. ავსტრიელები გამუდმებით უტევდნენ, ზუტებირს კი ვერაფერი მოუხერხეს.

„კერნტენმა" გამაოცა, საკუთარ საჯარიმოს მიგვაჯაჭვა და ლამის ჯოჯოხეთი მოგვიწყო. შესაძლოა, შედეგი ალოგიკურია, მაგრამ ჩვენ ზუტებირი, მაღალი კლასის მეკარე გვყავს" — ვან მარვიიკმა შეგირდი პრესკონფერენციაზე საგანგებოდ გამოარჩია.

ტეპლიცეს „სტინადლელიზე" კი წლევანდელი უეფას თასიდან მიჯრით მესამე გერმანული გუნდი დაიფრინეს. წინა დღეს ტურნირს უსახელოდ დაემშვიდობნენ ბერლინის „ჰერტა" და „ჰამბურგი", მეორე დღეს კი ლაფში „კაიზერსლაუტერნი" ამოისვარა.


REUTERS ტაბლოიდიდან

ტეპლიცე — კაიზერსლაუტერნი. მასპინძელმა პეტრ ვორიშეკმა სტუმარი დიმიტრიოს გრამოცისი ბურთს არ გააცარა

ერიკ გერეტსის შეგირდებს რთული ამოცანა ჰქონდათ ამოსახსნელი — მათ ჩეხებთან პირველი მატჩი შინ დათმეს 1:2 და თუ რამეზე ფიქრობდნენ, საფუძვლიანი რევანში უნდა აელოთ. ვინ აცალა?

ნუ გაიოცებთ და თურმე ამ შეხვედრაშიც მეკარე გამოირჩა. ლაუტერნელმა თომას ვიზემ მხოლოდ ერთხელ გაუშვა. რომ არა მისი ჩინებული ნახტომები, სტუმრებს უეჭველად თანამემამულე „ჰამბურგის" ბედი ეწეოდათ, კურტ იარას ბიჭები ხომ წინა დღით დნეპროპეტროვსკში განადგურდნენ „დნიპროსგან" 0:3.

ერთადერთი გოლი ტეპლიცელმა ჰენრიკ ბენჩიკმა 71-ე წუთზე გაიტანა, ჰორვატ-რეჟეკის მიერ გათამაშებული კომბინაციისას ბურთი ბენჩიკს მიუვიდა და რა ღმერთი გაუწყრებოდა, ათიოდე მეტრიდან რომ არ „დაეცხრილა" ვიზე.

სტუმრებს მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდათ, როცა კამილ კოსოვსკიმ მიროსლავ კლოზე მეკარეს შეატოვა. ვერ ივარგა ბუნდესნაკრების თავდამსხმელმა — ფორვარდს ფეხებში მეკარე ტომაშ პოსტულკა ჩაუვარდა და ვითარებაც განმუხტა.

სამაგიეროდ, რაც მოახერხა „ტეპლიცემ", იგივე ვერ გაიმეორა მეორე ჩეხურმა გუნდმა „ჟიჟკოვმა", დანიურმა „ბრონდბიუმ" კიმ დაუგაარდის გვიანი გოლით მეორე მატჩშიც დაიბრიყვა ჩეხები.

„ვიქტორია" — გუნდის ოფიციალური სახელწოდება ასეთია და წლეულს ჟიჟკოველები იუბილარები არიან, დაარსებიდან 100 წლისთავს ზეიმობენ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩაუშხამდათ, გუნდი უეფას თასიდან გავარდა, თანაც ვერც ჩეხეთის ჩემპიონატში ბრწყინავს.

მასპინძლებმა კაპიტანი ალეშ პიკლი მოისაკლისეს, მაგრამ მისი არყოფნა ჩეხებს დიდად არც დასტყობიათ. მომენტები საკმაოზე მეტად შექმნეს ჟიჟკოველებმა, მაგრამ რად გინდა, ბურთი არა და არ შედიოდა კარში. მოატანა 88-ე წუთმაც და მასპინძლებს დანიელთა კონტრშეტევა გაეპარათ — დაუგაარდმა თავურით ყველა მიაჩუმა.

**გიორგი მუშკაძიძე**


REUTERS კლაგენფურტიდან

კერნტენი — ფეიენოორდი. კლაგენფურტელი სტანკო ბუბალო და როტერდამელი ხორხე აკუნია (№20)

## მეორე ეტაპის წილისყრა

დინამო (ხორვატია) — დნიპრო (უკრაინა)
დორტმუნდი (გერმანია) — სოშო (საფრანგეთი)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — გროცლინი (პოლონეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
ბენფიკა (პორტუგალია) — მიოლდე (ნორვეგია)
სლავია (ჩეხეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ვალენსია (ესპანეთი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (რუმინეთი)
გაზიანთეფი (თურქეთი) — ლანსი (საფრანგეთი)
შალკე (გერმანია) — ბრონდბიუ (დანია)
პერუჯა (იტალია) — არისი (საბერძნეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი)
სტიაუა (რუმინეთი) — ლივერპული (ინგლისი)
ვოლერენგა (ნორვეგია) — ვისლა (პოლონეთი)
პაოკ (საბერძნეთი) — დებრეცენი (უნგრეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — მალიორკა (ესპანეთი)
პარმა (იტალია) — ზალცბურგი (ავსტრია)
ბაზელი (შვეიცარია) — ნიუკასლი (ინგლისი)
რომა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია)
გენჩლერი (თურქეთი) — სპორტინგი (პორტუგალია)
ვილიარეალი (ესპანეთი) — ტორპედო (რუსეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტეპლიცე (ჩეხეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — ჰართსი (შოტლანდია)

***პირველი მატჩები გაიმართება 6 ნოემბერს***
***საპასუხოები — 27 ნოემბერს***

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 002 | ლიდსი-მანჩესტერი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 19.00 | 003 | არსენალი-ჩელსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 004 | ფულჰემი-ვულვერჰემპტონი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 005 | სიტი-ბოლტონი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 006 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 007 | პორტსმუთი-ლივერპული | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 008 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 009 | ლესტერი-ტოტენჰემი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.05 | 010 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 011 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.30 | 024 | ქოვენტრი-კარდიფი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 025 | კრიუ-დერბი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 026 | კრისტალ პალასი-როტერჰემი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 027 | მილუოლი-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 028 | ნოტინგემი-უიმბლდონი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 029 | ნოტინგემი-უიმბლდონი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 030 | რედინგი-პრესტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 031 | სანდერლენდი-უოლსოლი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 032 | სანდერლენდი-უოლსოლი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 033 | უოტფორდი-ბრედფორდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 034 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 035 | ვესტ ჰემი-ბარნლი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 036 | უიგანი-ჯილინგემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.35 | 037 | იფსვიჩი-სტოკი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 039 | ბლეკპული-ჰარტლპული | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 040 | ბორნმუთი-ბრაიტონი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 041 | ბრენტფორდი-ლუტონი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 042 | ჩესტერფილდი-სუინდონი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1,57 | 1,25 | 1,3 |
| 19.00 | 043 | გრიმსბი-კოლჩესტერი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| 19.00 | 044 | პიტერბორო-ქუინს პარკი | 3,4 | 3,3 | 1,95 | 1,67 | 1,23 | 1,22 |
| 19.00 | 045 | პორტ ვეილი-პლიმუთი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 046 | უენსდეი-რაშდენი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |
| 19.00 | 047 | სტოკპორტი-ნოტსი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 048 | ტრანმერი-ოლდემი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 049 | რექსემი-ბრისტოლი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 050 | უიკომბი-ბარნსლი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XIV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 055 | როვერსი-კემბრიჯი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 056 | ბერი-ოქსფორდი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 057 | კარლაილი-მაკლსფილდი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 19.00 | 058 | ჩელტენჰემი-როჩდეილი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 059 | დონკასტერი-მენსფილდი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 060 | ლინკოლნი-ჰადერსფილდი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 19.00 | 061 | საუთენდი-ლეიტონი | 2,25 | 3,3 | 2,8 | 1,33 | 1,24 | 1,51 |
| 19.00 | 062 | სუონსი-კიდერმინსტერი | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 19.00 | 063 | ტორკი-ჰალი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 064 | იოვილი-დარლინგტონი | 1,65 | 3,3 | 5,0 | 1,1 | 1,24 | 1,98 |
| 19.00 | 065 | იორკი-ბოსტონი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. XV ტური** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 069 | აქრინგტონი-ექსეტერი | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
I ადგილი — სატელიტური ანტენა
II ადგილი — პერსონალური კომპიუტერი „პენტიუმ IV“
III ადგილი — მუსიკალური ცენტრი **SONY**,
IV ადგილი — ტელევიზორი **SONY**,
V ადგილი — ვიდეომაგნიტოფონი **SONY**,
ამასთან, მე-6 - 25-ე ადგილზე გასულ კონკურსანტთათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის პრიზები.

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში“, კოსტავას ქ. №37.*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“*
*6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“*
*8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“*
*9. მეტრო „ღრმაღელე“ „პლანეტის“ ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15*
*13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ეთერ გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# თეთრია თუ შავია, რიო დამნაშავეა



**დიადი სფეროა** პოლიტიკა, თუნდაც სპორტული და ამის დამტკიცება ჩვენო კარგო მკითხველო ელემენტარულია. აი, მაგალითად, ლონდონს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა უნდა და ყველაფერს აკეთებს, რომ ოლიმპიური კომიტეტის შეფობას თავი მოაწონოს. თავის მხრივ, ოლიმპიური კომიტეტის შეფობას ძალიან მოსწონს დოპინგთან ბრძოლა და ლონდონელებსეუბნება მაჩვენეთ ამ საქმეში რა წარმატებები გაქვთო. და, რა უნდა აჩვენონ ლონდონელებმა? დღეს ხომ ყველაზე თვალსაჩინო დოპინგ-ამბავი რიო ფერდინანდისაა. შესაბამისად, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს, სულ მცირე, ექვსი თვით დასჯის, ვინძლო დედაქალაქს ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში დიდებული ქულებიც ჩაუწეროს.

ერთმა დიდმა ოლიმპიურმა მოხელემ ინგლისურ პრესას განუმარტა, რიო ფერდინანდი ძალიან ცნობილია საიმისოდ, ქვეყანამ რომ მის დასჯას გვერდი აუაროსო. თუ ფერდინანდს ნახევარი წლით მაინც არ დასჯიან, გამოდის, რომ 2012 წლის ოლიმპიადას ეპოტინება დოპინგდამრღვევი და ხელის დამფარებელი სახელმწიფო.

არადა, ფერდინანდის დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ 23 სექტემბერს, ვარჯიშის შემდეგ, დოპინგ ტესტზე დარჩენა დაავიწყდა, ორჯერ გაფრთხილებულმა შხაპი მიიღო, ტანისამოსი გამოიცვალა და, — შენ დაუკარ! — თავის საქმეებზე გასწია. მერე ივიქრეს, იქნებ იმიტომ გაიპარა, რომ ტესტისგან დოპინგის კვალს მალავდაო...

**პაპუნა ძედია**



პოლ გესქოინი (მარცხნივ) „მგლებთან" ვარჯიშობს

# კიდევ იგაზებს გაზა?

**პოლ გესქოინი** ბოლოხანს „ვულვერჰემპტონთან" ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ ეს ვარჯიში მის ამ კლუბში გადასვლას თან ნიშნავს და თან არც ნიშნავს. 36 წლის ყოფილ ვარსკვლავს ისეთი გუნდი სჭირდება, სადაც მას შეირგებენ.

„მეგონა ამ დონზე აღარ ვვარგოდი, მაგრამ აზრი შემეცვალა. ვფიქრობ, მართლა სერიოზულად რომ ვივარჯიშო, თავადაც გამოვსწორდები და გუნდსაც წავეხმარები" — თქვა გაზამ და ის იგულისხმა, რომ „ვულვზი" ცხრილში ძალიან უსიამოვნო ადგილზეა.

„ვულვზის" მწვრთნელი დეივ ჯონსი: „ფეხბურთში კაცმა არასოდეს უნდა თქვა არასოდეს. ჩვენ ვცდილობთ, გაზას ვუშველოთ და თუ ადგილიდან დავძრავთ, მერე ყველამ იცის, როგორი ფეხბურთელიც გვეყოლება".

**პაპუნა ძედია**

# სადაც ყველაზე ძალიან უყვართ
## ბარტეზს ტუზი დაეცა



**მოსალოდნელი** ამბავი: მარსელის „ოლიმპიკმა" „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ფაბიენ ბარტეზი უნდა ინათხოვროს.

მანჩესტერელთა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა ცეტი მეკარე ისე მოიძულა, რომ ბარტეზი გუნდში ახლა მესამე გოლკიპერად ითვლება ამერიკელი ტიმ ჰოვარდის და ჩრდილოირლანდიელი როი კეროლის შემდეგ.

არადა, ბარტეზი ოდენ 32 წლისაა და თამაში სწყურია, თანაც საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში მესამე კი არა, კვლავაც პირველი მეკარეა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

მოკლედ, „მარსელის" საინტერნეტო ვებ-გვერდი იუწყება, ამ უქმეებზე გარიგება დასრულდებაო. „მანჩესტერი" კი განმარტავს, რომ ჯერ არანაირი შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევიაო.

ერთი სიტყვით, „მარსელი" ფაბიანს ექაჩება და ალბათ მიზანსაც მიაღწევს. თანაც ბარტეზი მარსელში განსაკუთრებულად უყვართ. გრძნობები ცხოვლად იმან გააღვივა, რომ 1994-95 წლების სეზონში „ოლიმპიკი" ფინანსური მაქინაციებისთვის ქვედა დივიზიონში დააქვეითეს, მაგრამ ბარტეზი გუნდიდან არ წავიდა და „ოლიმპიკს" პირველ დივიზიონში დასაბრუნებლად დაეხმარა. მერე მან ხუთი წელი „მონაკოში" დაჰყო და „მანჩესტერში" 2000 წელს გადაბარგდა.

**დავით თავართქილაძე**



# იწვიმოს რამდენიც უნდა
## რივალდოს ლივერპული უხსენეს

**იტალიურ** წყაროებში გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ბრაზილიელი ვეტერანი რივალდო იანვარში „მილანიდან" „ლივერპულში" გადადის.

„საერთოდ, ფეხბურთის თამაშს იტალიაში ან ესპანეთში ვამჯობინებ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ინგლისში თამაშის იდეაც გულის სიღრმეში ყოველთვის მომწონდა. რატომაც არ უნდა გადავიდე პრემიერლიგაში? კლიმატსა და მზის ნაკლებობას მაინცდამაინც არ დაგიდევთ, რადგან ჩემთვის მთავარი საკუთრივ თამაშია" — უთქვამს რივალდოს, რომელიც „მილანის" ახალგაზრდა ვარსკვლავების კონკურენციით წარმოუდგენლად შევიწროვებული დარჩა.

„ლივერპულის" გარდა, ახსენეს სხვა ინგლისური გუნდებიც: „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი", „მიდლსბრო", „ნიუკასლ იუნაიტედი" და „ტოტენჰემი".

**პაპუნა ძედია**

# რა გაატრაკეს საქმე?!



**იტალიის** ნაკრების თავკაცზე, ჯოვანი ტრაპატონიზე როგორც კი თქვეს, მომავალი სეზონიდან „ინტერის" მწვრთნელი გახდებაო, იმწუთას კუდში ახალი ხმა მიაყოლეს, „რომაში" ფაბიო კაპელოს შეცვლისო. მთელი ამ ჭორაობის საბაბს კი იძლევა ტრაპატონის კონტრაქტი იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან. ამ კონტრაქტს ვადა 2004 წელს გასდის.

აპირებს ფედერაცია ტრაპთან ხელშეკრულების გაგრძელებას? ეს კაცმა არ იცის. არც თავად ტრაპის სურვილზეა რამე ცნობილი, თუმცა ფედერაციამ და „რომამ" მწვრთნელები რომ გაცვალონ, სეირი ის იქნება.

მეორე მხრივ, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით „რომა" ჩინებულად თამაშობს და რატომ უნდა სურდეს კლუბის პრეზიდენტს, ფრანკო სენსის მისი თანამდებობიდან დათხოვნა? თუმცა, ისიც ვიცით, რომ ადრე სენსიმ რამდენჯერმე წამოიწყო კაპელოს წინაღმდეგ ლაშქრობა.

მოდი და გაიგე.

**პაპუნა ძედია**

# აქ, ყველაფერი მახარებს!

**„ლაციოს"** რომ მადრიდის „რეალის" არგენტინელი ვარსკვლავი, სანტიაგო სოლარი უნდა, ძველი ამბავია, მაგრამ საეჭვოა, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს.

გასულ ზაფხულს სოლარი მართლაც კინაღამ გადავიდა რომში, უბრალოდ ვადებმა შეუშალა ამ ტრანსფერს ხელი. შემდეგ თითქოს ითქვა, რომ მოლაპარაკებებს იანვარში მიუბრუნდებოდნენ, მაგრამ თავად სოლარი სხვა ამბავს ჰყვება:



სანტიაგო სოლარი

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც სხვა კლუბების ინტერის შესახებ ვიგებ, მაგრამ კიდევ უფრო სასიამოვნოა, როდესაც ვიტყობ, რომ „რეალს" ჩემი დატოვება სურს. მე ამ კლუბიდან არასდროს წავალ. აქ ყველას პატიოსნად ეპყრობიან, მყავს დიდებული თანაგუნდელები და ამწუთას ეს გუნდი მსოფლიოში ყველას სჯობს".

**პაპუნა ძედია**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო VS სამოა

19 ოქტომბერი. პერთი. «სუბიაკო ოვალი». 17 საათი

# სამოა სამტროდ ემზადება

## ილო ზედგინიძემ საქართველოს შანსი დაუტოვა

**ინგლის — სამხრეთ აფრიკას** შორის სულ რამდენიმე საათში გასამართმა მატჩმა — სამართლიანად რომ მოინათლა ჯგუფური ეტაპის უმძვინვარეს ჯახად — რაგბის კოსმოპოლიტი გურმანებისთვის ამ უქმეების ყველა სხვა შეხვედრა „გააქრო". ამ გიგანტების ჩრდილში ხალხი ცალი თვალით თუ გახედავს ამათივე ჯგუფის მსუბუქწონოსნებს სამოასა და საქართველოს. არც პერთის „სუბიაკო ოვალი" გადაიჭედება კვირას, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხნე ქართველები და ჩაუქი სამოელები ერთმანეთთან ომს გაექცევიან.

დიდებში ახლადა გარეული საქართველოსთვის სამოას დამარცხება საყოველთაო აღიარებას და პატივისცემის გამომუშავებას ნიშნავს. მცირე რამ ქება, აგერ, ინგლისელებმაც გვიწყალობეს, მას შემდეგ, რაც 84:6 გაანადგურეს ბორჯღალოსნები, მაგრამ ეს უფრო კრედიტი და ზურგზე ხელის მოთათუნება იყო — მიდით, ბიჭებო და მომავალ მატჩებში მხნედ იბურთავეთო.

უცხო, მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილმა ქართველობამაც, მგონი, გაფანტა რეტი და იმ კვირას რაგბის არისტოკრატ ინგლისსაც ყოველგვარი კრძალვისა და რიდის გარეშე ებურთავე. მეტოქემ და მისიანებმაც ეს შემართება შეუქეს ბორჯღალოსნებს, თორემ კლოდ სორელის შეგირდთა ოსტატობით როდი გამოუთქვამთ აღფრთოვანება.

ბორჯღალოსნები ნესვა ბურთის ფლობით და უკანა ხაზით გააზრებული კომბინაციების ხლართვით ვერ გააკვირვებენ მსოფლიოს თასს და, მით უმეტეს, სწორედ ამეებში განთქმულ სამოას. სამოა კიდევ უკეთესი გუნდია, ვიდრე რაგბის ჟონგლიორებით სავსე ფიჯი და მით უფრო მესამე ოკეანეთელი ტონგა, ვისაც ამ ხუთი წლის წინ ეთამაშა საქართველო. გეხსომებათ, მაშინ ნუკუალოფაში ტონგამ იოლად დაამარცხა ბორჯღალის გუნდი, ხოლო რამდენიმე კვირაში თბილისშიც თითქმის მოუგო.

სამოა იმ ტონგაზე ათი თავით მაღლა დგას და საინტერესოა, რამდენით მოუმატა საქართველომ ბოლო ხუთ წელიწადში? მაშინ კლოდ სორელს ჩვენი ნაკრები ახალი ჩაბარებული ჰყავდა და მას აქეთ პროგრესი აშკარაა, თუმც არა უზარმაზარი.

საქართველოს უკანა ხაზმა ასე თუ ისე ისწავლა გუნდური თამაში, თუმც ნაკრების დამრტყმელ ძალად კვლავ რჩება შერკინება და ხვალაც ბორჯღალოსნები სწორედ შერკინებით მიეძალებიან მეტოქეს. მათი კაპიტნის, ილია ზედგინიძის თქმით, უკანა ხაზი ძირითადად დაცვითი ფუნქციების შესასრულებლად იქნება მობილიზებული. თანაც მათ ისე შეუმცდარად უნდა ითამაშონ, როგორც არასდროსო — გვეუბნება ილო.

თავად ზედგინიძე კი სამოასთან ითამაშებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვირის წინ, იტალიასთან ტესტის შემდეგ ურთულესი ოპერაცია გადაიტანა და თავის ქალის ერთი ნაწილის ჩატეხილი ძვალის ნაცვლად პლატინა აქვს ჩადგმული. „რა თქმა უნდა, ფორმის პიკზე არა ვარ, მაგრამ თამაშს კი შევძლებ" — ამბობს ის.

ილო ზედგინიძე თავის ადგილს დაიჭერს შერკინების ბოლოს, ხოლო ინგლისთან მის ნაცვლად ნათამაშები გიორგი ჩხაიძე კლოდ სორელმა ამჯერად არ შეიყვანა 22-კაციან განაცხადში.

„ინგლისური" 15-ეულიდან სორელმა კიდევ სამი მოთამაშე შეცვალა. 3 ნომრად ვეება ალეკო მარგველაშვილის ნაცვლად მომცრო სოსო ნიკოლაენკო დადგება, მეორე ხაზში მძიმე ვიქტორ დიდებულიძეს შედარებით მაღალი და მოძრავი ვანო ნადირაძე შეცვლის, ხოლო 15 ნომერზე, ანუ მცველის საპასუხისმგებლო თანამდებობას ახმახი ბესიკ ხამაშურიძის მაგივრად პატარა ბადრი ხეხელაშვილი დაიკავებს. ეს უკანასკნელი ცვლილება ყველაზე საპასუხისმგებლოა. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ფორმაშია ბადრი ხეხელაშვილი. თქმაც არ უნდა, სხარტ და მოუხელთებელი სამოელების დევნა მოუწევს, ბადრის კი უნაკლო მცველის რეპუტაცია როდი აქვს.

ყველაფრის მიუხედავად, ქართველები მაინც იმედიანად და საბრძოლოდ შემართებულები ელიან მოედანზე გასვლის წუთს. მეტოქე ძლიერია და ცხადია, ეს ბორჯღალოსნებმა ჩვენზე უკეთ იციან. ილო ზედგინიძე შანსებს ასე აფასებს — 70-30-ზე მეტოქის სასარგებლოდ.

**ირაკლი ფირაშვილი**

| საქართველო | | სამოა |
|---|---|---|
| ბადრი ხეხელაშვილი | 15 | ტანერ ვილი |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | რონ ფანუატანუ |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | ტერი ფანოლუა |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | ბრაიან ლიმა |
| ვასილ კაცაძე | 11 | საილოსი ტაგისაკიბაუ |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | ერლ ვაა |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | სტივენ სოოიალო |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 8 | სემო სიტიტი (კაპ) |
| გრეგუარ იაშვილი | 7 | მაური ფაასავალუ |
| გია ლაბაძე | 6 | პეტერ პოლუსი |
| ვანო ნადირაძე | 5 | ლეო ლაფაიალიი |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 4 | ოპეტა პალეპოი |
| სოსო ნიკოლაენკო | 3 | ჯერემი ტომული |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | ჯონათან მერედითი |
| გოდერძი შველიძე | 1 | კას ლეალამანუა |
| **სათადარიგოები** | | |
| დავით დადუნაშვილი | 16 | მაჰონი შვალგერი |
| ალეკო მარგველაშვილი | 17 | სიმონ ლემალუ |
| ვიქტორ დიდებულიძე | 18 | კიტიონა ვილიამუ |
| დავით ბოლღაშვილი | 19 | სიაოსი ვაილი |
| მერაბ კვირიკაშვილი | 20 | დენინგ ტაირელი |
| ირაკლი მაჩხანელი | 21 | დეილ რასმუსენი |
| ბესიკ ხამაშურიძე | 22 | დომინიკ ფეაუნატი |



ბორჯღალოსნებს 5 წლის წინ ტონგასთან გაუჭირდათ, სამოა კი ტონგას ბევრად აღემატება



მზია ახალკაცის ფოტო

17 ოქტომბერი. მელბურნი

### ახალი ზელანდია 68:6 კანადა

ახალი ზელანდია: მაკდონალდი (ჰაულეტი), მულიაინა, მაანონუ, კარტერი, რალფი, სპენსერი, დევინი, სოოიალო (მაკქოუ), ჰოლა (ბრაიდი), რ. სორნი (კაპ), ჯეკი, ბ. სორნი, მიუსი, ჰამეტი (ფლინი), ჰოფტი

კანადა: ფიფი, კინგი, კენონი (ვიტკოვსკი), დი ჯიროლამო (სმიტი), ფათი, ბარკერი, ფეაჰესტი, რიდი, დუგლასი (ვან სტავერენი), ბენქსი (კაპ) (იაკსი), ნაკსი, კადმორი, კუკი (სნოუ), აბრამსი, ტკაჩუკი

### მსოფლიოს თასის მეჟულეები

35 — დენიელ კარტერი (ახ. ზელანდია)
26 — ფედერიკ მიშალაკი (საფრანგეთი)
22 — ნიკი ლიტლი (ფიჯი)
21 — რიშა ვაკურუა (იტალია)
20 — მაილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
18 — დევიდ ჰემფრიზი (ირლანდია)
17 — გონსალო კესადა (არგენტინა)
16 — ჯასტინ ჰარისი (უელსი); ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
15 — იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი); იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (ს. აფრიკა); კრის პატერსონი (შოტლანდია); მარტინ გაიტანი (არგენტინა)
14 — ელტონ ფლეტლი (ავსტრალია)
13 — კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია)
10 — დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია); ჯო როკოკოკო (ახ. ზელანდია); დენის ჰიკი (ირლანდია); კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი); ლუის კოენი (ს. აფრიკა); ბაქის ბოთა (ს. აფრიკა); ბენ კოენი (ინგლისი); უილ გრინვუდი (ინგლისი); პაბლო ბუზა (არგენტინა); ალპისაი ნაევო (ფიჯი); დენის დალანი (იტალია); მოური ფაასავალუ (სამოა); ბრაიან ლიმა (სამოა); ქალებ რალფი (ახ. ზელანდია); როდნი სოოიალო (ახ. ზელანდია)

### მელელოვეები

4 — მაილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
3 — იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი); იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (ს. აფრიკა); მარტინ გაიტანი (არგენტინა)
2 — დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია); კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია); ჯო როკოკოკო (ახ. ზელანდია); დენის ჰიკი (ირლანდია); კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი); ბაქის ბოთა (ს. აფრიკა); კრის პატერსონი (შოტლანდია); ბენ კოენი (ინგლისი); უილ გრინვუდი (ინგლისი); პაბლო ბუზა (არგენტინა); ალპისაი ნაევო (ფიჯი); დენის დალანი (იტალია)

# აუშვით აფრები

## დღეს თამაშობენ ინგლისი და სამხრეთ აფრიკა



აფრიკელ „ქურციკებს" ერთადერთი ბებერი მგელი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენიღა შერჩათ

*ამ თამაშს მთელი ოვალური სამყარო მოუთმენლად ელოდა, მით უმეტეს, მონაწილეები და მათ უკან მდგარი ათასობით და იქნებ მილიონობით ქომაგი. დღეს ჩვენი ათვლით შუადღის 5 საათზე C ჯგუფისთვის შინაურ სარბიელად ქცეულ პერთის „სუბიაკო ოვალზე" ინგლისი და სამხრეთ აფრიკა შეასკდებიან ერთმანეთს.*

და მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი ჯგუფური ეტაპისაა და მასში დამარცხებულს მსოფლიოს თასიდან მყისიერი გავარდნა არ ემუქრება, ამ სარაგბო ტიტანებს ურეალურესი მიზეზი მოეძევებათ, არც თავი დაზოგონ და არც მეტოქე. ეს მიზეზი მფრინავი ახალი ზელანდიაა, რომელიც ამ მატჩში დამარცხებულს მეოთხედფინალში დაუხვდება. ინგლისი სამხრეთ აფრიკასთან კი არა, ზოგადად ტურნირის ფავორიტია, თუმც უკვე მეოთხედფინალში „შავებთან" საქმის დაჭერა არ ხიბლავს, მით უმეტეს, აფრიკელებსაც ვინმე მომცრო ურჩევნიათ სამეოთხედფინალო მეტოქედ.

სადღეისოდ სამხრეთ აფრიკა უდავოდ ჩამოუვარდება არამარტო ინგლისს, არამედ სხვა ბობოლებს. შეიძლება ითქვას, „ქურციკებისგან" სახელიღა დარჩა, თუმც ეს სახელი და ტრადიციები საკმარისია იმისთვის, რომ მეტოქეები კრძალვით მოეკიდნონ. მაგალითად, ინგლისელი „ვარდების" მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი არ აღიარებს საკუთარ გუნდს წინასწარ გამარჯვებულად, მიუხედავად პრესაში აგორებული როგორც პროანგლიური, ასევე ანტიაფრიკული ისტერიისა და ამბობს — ცდება ის, ვინც წინასწარ წყვეტს მატჩის ბედსო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, სამხრეთ აფრიკას ინგლისი 2000 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია, თავად კი ოთხჯერ დამარცხებულა. მანამდე სწორედ სამხრეთელები ითვლებოდნენ ფავორიტებად ინგლისთან ჭიდილში, მაგრამ 2000 წელს ბლუმფონტეინში ინგლისის გამარჯვების შემდეგ როლები შეიცვალა. „ვარდები" ტესტ-ტურნეზე სტუმრობდნენ 1995 წლის მსოფლიოს თასის ჩემპიონებს და დედაქალაქ პრეტორიაში 13:18 მარცხიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბლუმფონტეინში 27:22 დასცეს „ქურციკები". მაშინ ინგლისის 27-ვე ქულა მათმა 21 წლის ვუნდერკინდმა ჯონი უილკინსონმა მოაგროვა, რომელმაც აფრიკელებს ხელი თუ ფეხი არც შემდგომ ტესტებში დააკლო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მონსტრებს შორის 2002 წლის შემოდგომაზე თვიქნემში ჩატარებული ტესტი, როცა ინგლისმა 53:3 გაანადგურა მეტოქე.

მაგრამ „ქურციკები", ცხადია, არ დახოცილან, ახლა ფეხზე წამოდგომას ცდილობენ და ბლუმფონტეინური მარცხის შემდეგ გადახალისებული შემადგენლობა ტესტიდან ტესტამდე იკვრება ძლიერ გუნდად. მწვრთნელ რუდი სტრაულის ბევრი აკრიტიკებს შემადგენლობის ერთბაშად გაახალგაზრდავებისა და მსოფლიოს რაგბში პოზიციების დათმობის გამო, მაგრამ მის მთავარ არგუმენტს ძნელად უძებნიან პასუხს — ოდესმე ხომ უნდა შეცვლილიყო 90-იანი წლების ოქროს თაობა.

ინგლისისა და აფრიკის ურთიერთჯახების ახლო ისტორიაში აგრეთვე მნიშვნელოვანი მატჩია წინა მსოფლიოს თასის მეოთხედფინალი, რომელშიც „ქურციკებმა" ულაპარაკოდ დაჯაბნეს „ვარდები" — 44:21. მაგრამ იმ გუნდიდან „ქურციკებს" ერთადერთი მოთამაშე, განთქმული იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენიღა შემორჩათ. სამაგიეროდ, ინგლისს იმ მარცხის არაერთი მონაწილე დღესაც მოეძევება, თანაც ამ ბიჭებმა კიდევ უფრო დახვეწეს თავიანთი თამაში და კლაივ ვუდვორდის ხელში უძლიერეს ნაკრებადაც იქცნენ. აღსანიშნავია, რომ 1999 წელს, ინგლისისთვის იმ საშინელ მეოთხედფინალურ თამაშში, მაშინ 20 წლის ჯონი უილკინსონი ინგლისის სათადარიგოთა სკამზე იჯდა. საინტერესოა, რა მოხდებოდა, მისთვის მაშინ რომ მიეცათ თამაშის შანსი?

**ირაკლი ფირაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო სამი წელია, ინგლისელები ზემოდან დაჰყურებენ აფრიკელებს

| ინგლისი | | სამხრეთ აფრიკა |
|---|---|---|
| ჯოშ ლუისი | 15 | იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი |
| ჯეისონ რობინსონი | 14 | ეშვინ უილემსი |
| უილ გრინვუდი | 13 | იორი მულერი |
| მაიკ ტინდალი | 12 | დე ვიტ ბერი |
| ბენ კოენი | 11 | თინუს დელპორტი |
| ჯონი უილკინსონი | 10 | ლუის კოენი |
| კირან ბრაქენი | 9 | იუსტ ფანდერვესტჰოიზენი |
| ლოურენს დალალიო | 8 | ჯუან სმიტი |
| ნილ ბეკი | 7 | ჯო ვან ნიკერკი |
| ლუის მუდი | 6 | კორნე კრიხე (კაპ) |
| ბენ კეი | 5 | ვიქტორ მეტფილდი |
| მარტინ ჯონსონი (კაპ) | 4 | ბაკიზ ბოთა |
| ტრევორ ვუდმენი | 3 | რიჩარდ ბანდსი |
| სტივ ტომპსონი | 2 | ბენი კუცი |
| ფილ ვიკერი | 1 | კრისტონ ბეზუიდენჰუდტი |
| **სათადარიგოები** | | |
| დორიან ვესტი | 16 | ჯონ სმიტი |
| ჯეისონ ლეონარდი | 17 | ლოურენს სეპაკა |
| მარტინ კორი | 18 | სელბორნ ბუმი |
| ჯო უორსლი | 19 | დენი როშოუ |
| ენდი გომარსალი | 20 | ნილ დე კოკი |
| პოლ გრეისონი | 21 | დერიკ ჰუგაარდი |
| დან ლუგერი | 22 | ვერნერ ხრეეფი |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია 1999 წლის თასის მეოთხედფინალის მონაწილეები*

# სორელს ინგლისის ეეჭვება, საფრანგეთის სწამს



თუ სორელის ნათქვამს ვირწმუნებთ...

ინგლისის ნაკრები დაძაბულია, პროგნოზირებადია და არც ისე უძლეველიო, ამბობს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი, რომლის გუნდიც ინგლისელებმა 84:6 დაამარცხეს მათ პირველ სამსოფლიოთასო მატჩში გასულ კვირას.

„არა მგონია, ინგლისი ისეთი თავდაჯერებული იყოს, როგორც ამას სხვები ამბობენ. ჩვენს წინაალმდეგაც კი ისინი ზოგიერთ მომენტში არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სწორედ თამაშობდნენ და ზედმეტად ფრთხილად ირჯებოდნენ" — უთხრა სორელმა „როიტერს".

„ვფიქრობ, ისინი ისეთი წნეხის ქვეშ არიან მოქცეულნი, რომ ყოველ მატჩზე დაშინებულები გავლენ და არა მგონია, ვინმემ შეძლოს, მათი თავკაცი კლაივ ვუდვორდი გაალიმოს."

თუმცა, მიუხედავად ასეთი დაეჭვებისა, სორელმა მაინც ხოტბა შეასხა ინგლისს პერთში ნაჩვენები თამაშის გამო.

„ჩვენ მძიმე მატჩს ველოდით და მატჩი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა — თქვა მან — პირველი 20 წუთი გავუძელით, მერე კი ყოველი მათი შეტევისას ლელოს საფრთხის წინაშე ვიდექით.

ისინი საუცხოოდ ინარჩუნებენ ბურთს და ძალიან სწრაფად გადაეწყობიან ხოლმე ბურთის დაკარგვისას. მათი ეფექტურობა საოცარია."

მაგრამ ის მაინც ფიქრობს, რომ ინგლისი არ არის უძლეველი.

„მათი სისუსტე ის არის, რომ მათი თამაში პროგნოზირებადი და გამოცნობადია — თქვა სორელმა — ისინი შეიძლება დამარცხდნენ ნახევარფინალში, თუკი საფრანგეთი ითამაშებს საჭირო კონცენტრაციითა და დისციპლინით; რადგან ინგლისი ვერ შეეგუება მათ გაშლილსა და ექსპანსიურ ბურთაობას.

ვფიქრობ, რომ ფინალში ერთმანეთს საფრანგეთი და ახალი ზელანდია შეხვდებიან და საფრანგეთი, ვთქვათ...42:24 მოიგებს."



...კლაივ ვუდვორდი „ძალით" იცინის

# საქართველოს ჩემპიონატი

17 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**თსუ 91:81 სტუ**

27:11, 16:28, 20:21, 28:21

**თსუ:** თორთლაძე (17), მაისურაძე (19), ნაცვლიშვილი (11), კილაძე (7), შენგელია (15); ლეჟავა (3), მარხვაშვილი (5), ვეფხვაძე (3), სანიკიძე (2), ორმოცაძე (9)

**სტუ:** ნიკოლაძე (11), მიქაძე (6), მარკოიშვილი (6), ბაბიაშვილი (27), ოგანესიანი (10); გაგნიძე (2), დავითულიანი (9), ახალკაცი (5), შანიძე (5)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

## სახელმწიფომ ტექნიკოსებზე იძალა

გუშინ ვერის ბაღში მე-13 ეროვნული ჩემპიონატისთვის ჯერაც არნახული ხმაური იყო. „სტუდენტურ დერბიში" თბილისის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები ხვდებოდნენ და ლექციებმოლეულმა ახალგაზრდობამაც ტრიბუნებზე მოიკალათა. ვინ თსუ-ს ქომაგობდა, ვინ — სტუ-ს

ამ გუნდებს წლეულს დიდი ამბიციები აქვთ. სტუ-მ თვით „დინამოს" წაართვა დუდუ დადიანის თასი და საჩემპიონო ტახტის წართმევსაც უპირებს, თსუ-მ კი მსუყე სპონსორი იშოვა „კოკა-კოლას" სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაგებად იბრძოლებს ნებისმიერ მეტოქესთან. გუშინდელი ჯახიც დიდ ინტერესს იწვევდა და მაყურებელიც ბლომად შემოიკრიბა. მატჩის სანახავად მოვიდა „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ლევან მოსეშვილიც, რომელიც ამ ჩემპიონატის მატჩებზე მანამდე არ დაგვლანდავს.

მოკლედ, ინტერესი დიდი იყო, თამაში კი ვერ გამოდგა საკადრისი. არავინ იფიქრებდა, რომ ამ გუნდების დაპირისპირებაში ბოლო წუთებს აზრი დაეკარგებოდა. არადა, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა, თსუ-მ შანსი არ დაუტოვა სტუ-ს.

ანგარიში ფარქვეშიდან სტუ-ელმა ზვიად ბაბიაშვილმა გახსნა და ტექნიკოსებიც პირველად და უკანასკნელად დაწინაურდნენ ამ მატჩში. ირაკლი მაისურაძემ ამ ორქულიანს სამიანით უპასუხა რასაც ვალერი კილაძემ კიდევ ორი ქულა მიაყოლა და სათავე დაუდო თსუ-ს გალაღებას.

დავით თორთლაძე ერთობ ყოჩაღობდა, ტექნიკოსთა უკანახაზელებში ბურთიანად ისე თავდაჯერებით დაქროდა, თითქოს მეტოქეთათვის უხილავი ყოფილიყოს. „თორთლას" მხარი აუბა თსუ-ს მეორე უკანახაზელმა ირაკლი მაისურაძემ, რომელზეც ამბობენ, თუ პირველი სროლა ჩააგდო და თამაში წაუვიდა, მერე ძალიანაც რომ მოინდომო, ველარ შეაჩერებო. ვერც შეაჩერეს. „მაისამ" პირველ მეოთხედში სამი სამიანი ჩააგდო და თსუ-ს 23:8 დაწინაურებაშიც ლომის წილი დაიდო. გია ჯავახიშვილის გუნდმა საბოლოოდ 27:11 მოიგო საწყისი ათწუთეული და შესასვენებლადაც კარგ ხასიათზე გავიდა.

სტუ-ს ჩამორჩენის მიზეზი შეუთამაშებელი სათამაშო რგოლები და უამრავი შეცდომა იყო. გიორგი ნიკოლაძე ტექნიკოსთა შეტევების ორგანიზებას ვერ ახერხებდა, როცა თსუ-ელთა უკანახაზელები ამ საქმეს მშვენივრადართმევდნენ თავს.

მეორე მეოთხედში სტუ-მ მთლად ჩვეული სახე ვერ დაიბრუნა, მაგრამ ზვიად ბაბიაშვილის აქტიურობით ანგარიშის ოთხ ქულამდე შემცირება შეძლო. თსუ-ელებს, პირველ მეოთხედში ბურთი თითქმის რომ არ აეკილათ, სამიზნე გაუმრუდდათ და მეორე ტაიმიდან ბრძოლა ახლიდან დაიწყო.

თამაში თსუ-ელთა ჩუბინობით განახლდა. იმავ თორთლაძემ და მაისურაძემ გამოიდვეს თავი და სტუ მალევე ჩამორჩა — 41:54. ტექნიკოსები ისე უხეიროდ ირჯებოდნენ, ძნელი საფიქრალი იყო, თუ თამაშში გარდატეხის შეტანას მოახერხებდნენ, თუმც მათ შანსი მაინც ებოძათ, რომელიც ვერ გამოიყენეს.

იყო ეპიზოდები, როცა გია ჯავახიშვილს მოედნიდან ასაკოვანი ლიდერები დასასვენებლად გაჰყავდა — ხან თორთლაძე, ხანაც შენგელია. ასეთ დროს ტექნიკოსები ძალობდნენ და ანგარიშს ამცირებდნენ. ასე იყო მესამე მეოთხედის მიწურულს, როცა სტუ მეტოქეს 2 ქულით მიუახლოვდა (59:61), შეტევის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო.

ბოლო მეოთხედი თსუ-ს 3-ქულიანი უპირატესობით განახლდა. სტუ-ს მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს სურდა, კორექტივები შეეტანა თამაშში, მაგრამ არც ერთმა სამარქაფომ არ გაუმართლა. ჭეიშვილმა ცენტრ არმენ ოგანესიანის იმედი რომ საბოლოოდ დაკარგა, მოედანზე მხოლოდ ერთი მეფარე, ზვიად ბაბიაშვილი დატოვა — უკანახაზელებს მიანდო მატჩის ხსნა. მათ კი არაფერი გამოუვიდათ. კახა შენგელია ხარვეზებით თამაშობდა, თუმც მაინც ჯაბნიდა მეურვეს და საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე ყველაფერი თსუ-ს სასარგებლოდ გადაწყდა.


თსუ-ელ კახა შენგელიას სტუ-ს მეფარეები ეპატარავა

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 4 | 3 | 1 | 339:330 | 7 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 284:183 | 6 |
| რუსთავი | 4 | 2 | 2 | 321:307 | 6 |
| მაკაბი | 4 | 2 | 2 | 349:368 | 6 |
| ბასკო | 3 | 2 | 1 | 288:223 | 5 |
| სტუ | 3 | 2 | 1 | 319:263 | 5 |
| ქუთაისი | 4 | 0 | 4 | 284:401 | 4 |
| სსუ | 3 | 0 | 3 | 224:335 | 3 |

ავტორბოლა

# ზოგი მოხსნეს, ზოგი გაცვალეს

## ეტაპის ჩაწყობა 20 მილიონი ღირს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ერთი** კვირაა, რაც დასრულდა ფორმულა 1-ის მორიგი ჩემპიონატი და მრბოლებსაც და გუნდების ტექპერსონალსაც თვენახევრიანი შვებულება ელირსათ. ბოსებმაც ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად მოიცალეს. უმთავრესია გუნდიდან გუნდში გადასვლის და საგაისო კალენდრის საკითხები.

„სამეფო რბოლების" 55-ე ჩემპიონატშიც ათი საჯინიბო ჩაებმება. მათგან ხუთმა — „ფერარიმ", „უილიამსმა", „მაკლარენმა", „რენომ" და „ტოიოტამ" შემადგენლობა უცვლელად შეინარჩუნა. მართალია, „იაგუარსა" და „ჯორდანშიც" წლევანდელი მძღოლები პირობითად ისევ ირიცხებიან, მაგრამ მათი წასვლა-დარჩენის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა.

ორი ... პილოტი გაუშვა პეტერ ზაუბერმა. შვეიცარიელმა ბოსმა ნიკ ჰაიდფელდი ედი ჯორდანს ჯანკარლო ფიზიკელაში გაუცვალა, 36 წლის გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი კი უმუშევარი დარჩა. თუმც ერთ-ერთ უხნეს მეფორმულეს ამ დღეებში ორი მსურველი გამოუჩნდა „ჯორდანისა" და „იაგუარის" სახით. ჰა-ჰა (ფრენცენის მეტსახელი) ცხადია, უარზე არაა, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი. ვეტერანი წლიურ გასამრჯელოდ ორ მილიონ დოლარს ითხოვს, რაც ჯორდანს ალბათ არ უნდა ეძვიროს, იაგუარელები კი პირიქით — იქით სთხოვენ შესატანს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, როგორც ეს დამწყები პილოტების შემთხვევაში ხდება.

გადაწყვეტილია უხეირო შედეგის (მე-16 ადგილი) გამო BAR-იდან მოხსნილი ჟაკ ვილნევის ამბავიც. მსოფლიოს ექსჩემპიონ კანადელზე პრეტენზია არავის გამოუთქვამს და ეტყობა, სულ ცოტა, ერთსეზონიანი უსაქმურობა გარანტირებული აქვს.

სრული ქაოსია მაჩანჩალა „მინარდიში". დღემდე უცნობია, ვინ დაიკავებს იოს ფერსტაპენისა და დანიელ ახალბედა ნიკოლა კიესას ადგილებს. ისე, „პატარა სკუდერიის" შეფი ჯანკარლო მინარდი ვილნევის ან ფრენცენის მიწვევას ვერც ბედავს, რადგან მშვენივრად უწყის, რომ თუნდაც უმუშევარი ასები მის წყალწაღებულ ბოლიდში ჩაჯდომაზე უარს იტყვიან.

როგორც ცნობილია, თამბაქოს რეკლამასთან დაკავშირებული პრობლემების გამო 2004 წლის კალენდრიდან ამოვარდა კანადური ეტაპი. მაგრამ ავტოსპორტის მსოფლიო საბჭოს გუშინწინდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მონრეალის ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე რბოლა გაისად მაინც ჩატარდება. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ხელმძღვანელობამ ყურად იღო ლამის მთელი კანადის თხოვნა და დათმობაზე წავიდა. ახლა მთავარია ათივე გუნდის შეფების თანხმობა. საქმე ისაა, რომ მომავალი წლის კალენდარი პირველად ფორმულის ისტორიაში გაიზარდა 18 რბოლამდე, ყოველი მათგანი კი უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, მონრეალური ეტაპის დირექტორატს ბოსების მოსათაფლავად ორ-ორი მილიონის გაღება მოუწევს.

კალენდარი საბოლოოდ ნოემბერში დაზუსტდება.

**გია ახალაძე**

**55-ე ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი**

| | |
|---|---|
| 7 მარტი | ავსტრალია |
| 21 მარტი | მალაიზია |
| 4 აპრილი | ბაჰრეინი |
| 25 აპრილი | სან მარინო |
| 9 მაისი | ესპანეთი |
| 23 მაისი | მონაკო |
| 30 მაისი | ევროპა |
| 13 ივნისი | კანადა |
| 20 ივნისი | აშშ |
| 4 ივლისი | დიდი ბრიტანეთი |
| 11 ივლისი | საფრანგეთი |
| 25 ივლისი | გერმანია |
| 15 აგვისტო | უნგრეთი |
| 29 აგვისტო | ბელგია |
| 12 სექტემბერი | იტალია |
| 26 სექტემბერი | ჩინეთი |
| 10 ოქტომბერი | იაპონია |
| 24 ოქტომბერი | ბრაზილია |


კანადის დიდი პრიზი დიდ ცირკს არ გამოაკლდა

**2004 წლის გუნდები**

| გუნდი | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| ფერარი | მიხაელ შუმახერი | 34 | გერმანია |
| | რუბენს ბარიკელო | 31 | ბრაზილია |
| უილიამსი | ხუან-პაბლო მონტოია | 28 | კოლუმბია |
| | რალფ შუმახერი | 28 | გერმანია |
| მაკლარენი | კიმი რაიკონენი | 24 | ფინეთი |
| | დევიდ კულთჰარდი | 32 | დ. ბრიტანეთი |
| რენო | ფერნანდო ალონსო | 22 | ესპანეთი |
| | იარნო ტრული | 29 | იტალია |
| B.A.R | ჯენსონ ბატონი | 23 | დ. ბრიტანეთი |
| | ტაკუმა სატო | 26 | იაპონია |
| ზაუბერი | ჯანკარლო ფიზიკელა | 30 | იტალია |
| | ფელიპე მასა | 22 | ბრაზილია |
| იაგუარი | მარკ ვებერი | 27 | ავსტრალია |
| | ჯასტინ უილსონი (?) | 25 | დ. ბრიტანეთი |
| | ალექს ვურცი (?) | 29 | ავსტრია |
| | იოს ფერსტაპენი (?) | 31 | ჰოლანდია |
| ტოიოტა | კრისტიანო და მატა | 30 | ბრაზილია |
| | ოლივიე პანი | 37 | საფრანგეთი |
| ჯორდანი | ნიკ ჰაიდფელდი (?) | 26 | გერმანია |
| | რალფ ფირმენი (?) | 28 | დ. ბრიტანეთი |
| | ზოლტ ბაუმგარტნერი (?) | 25 | უნგრეთი |
| | იოს ფერსტაპენი (?) | 31 | ჰოლანდია |
| მინარდი | ? | | |
| | ? | | |

# ნიკა ცქიტიშვილი თაბაშირშიც ოპტიმისტია

## დენვერი სეზონს სკიტას გარეშე დაიწყებს



ნიკა ცქიტიშვილი ჯაჯგურში მოყვა და თითი მოიტეხა

ბედი ხანდახან ისეთ დროს გიმუხთლებს, როცა გგონია, ესაა და, საქმე ავიწყვეო. ასე დაემართა დენვერელ ნიკა ცქიტიშვილსაც. როცა „ნაგიტსში" ხმამაღლა დაიწყეს ჩვენებურის წარმატებებზე ლაპარაკი და პრესამაც არ დააკლო ქება, ნიკას სწორედ მაშინ დარია ხელი წყეულმა ტრავმამ. მესამე საგამოფენო მატჩს „დენვერი" ინდიანაპოლისში „პეისერსთან" თამაშობდა და ცქიტიშვილს მესამე მეოთხედში მარცხენა ხელის ცერა თითი მოსტყდა. ის მატჩი „დენვერმა" დამაჯერებლად მოიგო და ტორონტოში გაფრინდა სათამაშოდ, ცქიტიშვილი კი დენვერში გაბრუნდა, სადაც მას გუშინ დავუკავშირდით...

— სერიოზული ტრავმაა?

— ჩანს, სერიოზულია, თუმცა მოტეხილია თუ მხოლოდ ამოვარდნილი იყო, დღეს გაირკვევა.

**— ექიმთან ხომ იყავი, რა გითხრა?**

— ოპერაცია გამიკეთეს, უფრო სწორად, ჭრილობა გამიკერეს, რასაც ერთი საათი დასჭირდა.

**— ჭრილობა მოედანზევე მიიღე?**

— ჰო, ისეთი დამარტყეს, კანმა ვერ გაუძლო. ჯეფ ფოსტერი ძალიან უხეშად მმეურვეობდა, მანამდეც ისე ჩამარტყა, ტკივილისგან ორი საჯარიმო ავაცილე.

**— მერე არ ერიდებოდი?**

— ვცდილობდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავშავდი. ფარქვეშიდან ავხტი, როცა ის საბედისწერო დარტყმა მომაყენა. მარცხენა ხელის ცერა თითი სახსარიდან ამომივარდა და უკან იმხელაზე იყო გადმოწეული, კინაღამ გული შემიწუხდა. თავიდან ტკივილი ვერ ვიგრძენი, ინსტიქტურად მოვკიდე ხელი და ადგილზე ჩავსვი. ორივე საჯარიმო ჩავაგდე და თამაშიც გავაგრძელე, მაგრამ მერე სისხლი ნიაღვარივით წამომივიდა. კანი გამისკდა, საიდანაც ძვალი მოჩანდა. თავად ფორესტი მივიდა მსაჯთან და უთხრა, თამაში გააჩერე, ნახე, ამას რა სჭირსო, ჩემზე მიუთითა... დაახლოებით ერთი წუთი ვითამაშე ტრავმირებულმა.

**— არადა, კარგად ირჯებოდი თურმე...**

— ძალიან კარგად, სამივე ორქულიანი ჩავაგდე და ვგრძნობდი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა, მაგრამ...

**— მაინც როდის ელი მოედანზე დაბრუნებას?**

— ახლა თითი თაბაშირში მაქვს. მგონი, უკვე იციან, რომ მოტეხილია, მაგრამ არ მეუბნებიან. ვფიქრობ, მინიმუმ სამი კვირა ვერ შევძლებ თამაშს, მაქსიმუმი კი ერთი თვეა.

**— წინა საგამოფენო მატჩში „ფინიქსთან" მოიკოჭლებდი...**

— ცუდად ნაღდად არ მითამაშია, უბრალოდ, ქულები ვერ დავაგროვე საკმარისი, დაცვაში კი კარგად ვიდექი.

**— ვარჯიშებს ალბათ არ შეწყვეტ...**

— არა, რა თქმა უნდა, ვირბენ და მარჯვენა ხელით სიმძიმეებს ავწევ, კუნთები რომ არ ჩამეფუშოს. ახლა დენვერში ვარ, ჩემიანები კი ტორონტოში წავიდნენ მორიგი მატჩის სათამაშოდ. ერთი მხრივ, კარგიცაა რომ დავისვენებ, ჩემი თამაშის კასეტებს ჩავუჯდები და უფრო კარგად გავაანალიზებ შეცდომებს. გადაღლილიც ვიყავი ამდენი ვარჯიშით.

**ირაკლი პერტაია**



# მადრიდიდან ამერიკელები აოტეს

**მადრიდის მასტერსტურნირი**

ჭერქვეშა მაგარსაფარი

საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

**მესამე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:0); **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — ენდი როდიკი (2, აშშ) 7:6 (7:3), 6:2; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — მარდი ფიში (აშშ) 6:3, 7:6 (7:4); **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 6:7 (5:7), 6:1, 7:5; **სებასტიან გროჟანი** (6, საფრანგეთი) — ვინსენტ სპადია (აშშ) 6:3, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 7:5, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ჟირი ნოვაკი (8, ჩეხეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:2; **იუნეს ელ აინაუი** (15, მაროკო) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 7:6 (7:5)



ენდი როდიკი

შემზარავი გამოდგა მადრიდობის მესამე წრე იქ მოჩოგნავე ხუთი ამერიკელისთვის. თუმცა, თუკი ფიშის, ჯინეპრის, სპადიასა და გემბილის სადგინდასად დამარცხება დიდ სენსაციად როდისმე არც აქამდე ალგვიქვამს, აშშ-ის წლევანდელი გამარჯვებულის, ჩემპიონთა რბოლის ლიდერისა და მგორავი რეიტინგსიის მეორეადგილოსან ენდი როდიკის წაფორხილება მართლაც ზორბა ჩაფლავებადაა მისაჩნევი. ეგ მით უფრო, რომ ენდიბოიმ ზორბადვე მობრახუნე ჩილელმა, ნიკოლას მასუმ გააბუნძულა.

არადა, ამერიკელთა ჭაბუკი ყოჩი პირველ სეტს 5:2 იგებდა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ყომარი არც მერე უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ მასუმ ყველაფერი თავდაყირა დააყენა — მატჩის მსვლელობისას ეშხში შევიდა, მადრიდამდე თითქმის ერთი თვის განმავლობაში უთამაშებელ ფავორიტს მძლავრი მოწოდებითა თუ ბარაქიანი ხელწალმით დასცხო და პირველი სეტის ტაიბრეიკზე მოგების შემდეგ, მეორეში ზედმიწევნით გადაუარა. როდიკს აგვისტოში, ვაშინგტონურ ნახევარფინალში ტიმ ჰენმანთან მარცხის შემდეგ აღარ წაეგო. ამ იაღლიშის შემდეგ საეჭვოა, მან წლის ბოლომდე ხუან კარლოს ფერეროს რეიტინგსიის პირველობა ჩამოართვას.

თავად ფერერომ იმ დღეს თვისტომ მანტიას აჯობა — მატჩი თანაბარ ხათქა-ხუთქში მიდიოდა და მეტოქის გატეხვა კოლობიჭმა მხოლოდ ტაიბრეიკებში შეძლო.

დღის მეორე შიდაესპანური შეხლა კი, რომელშიც ჰიუსტონის რვაკაცა მასტერსთასზე მოსახვედრი ადგილის მაძიებელი კარლოს მოია ნორჩ ფელისიანო ლოპესს ერკინებოდა, უფრო სახელიანის დამარცხებით დასრულდა. ლოპესი ნატიფ თვისტომს პირველივე გათამაშებიდან კადნიერად მიეძალა და, მართალია, საწყისი სეტი დაუთმო, მაგრამ აგრესიული თამაშის წყალობით მომდევნო ორში მაინც დამაჯერებლად სძლია.

მეოთხედფინალში ლოპესი როჯერ ფედერერს შეხვდება, ერთადერთს ტურნირის მთავარგანთესილთაგან, რომელმაც პირველი შეხლები მართლაც საჩემპიონოდ ჩაიშლიგინა. ზორბა ალპელს, ვინაც წინა კვირაში ვენურ მაგარსაფარზე წლის ამქარსარეკორდო, მეექვსე ტიტული მოიხვეჭა, ასევე აქვს შანსი, ფერეროს რეიტინგსიის სათავეში ჩაენაცვლოს. ამიტომ მადრიდში ის განსაკუთრებით მობილიზებულია.

კარლოს მოიას დარად ჰიუსტონურ მასტერსთასზე მოსახვედრად იბრძვიან ფრანგი გროჟანი და ტაილანდელი შრიჩაფანიც, რომელნიც რბოლაში, შესაბამისად, მე-10 და მე-11 ადგილებზე იმყოფებიან. თუკი ისინი თავიანთ მეოთხედფინალურ მატჩებშიც იმარჯვებენ, მაშინ სიაში მათ წინ, მე-9 საფეხურზე მდგომ მარკ ფილიპუსისს გადაუსწრებენ.

**ლევან ქელაურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი



სანხოსელი ევგენი ნაბოკოვი ცოცხალ
კედლად აღიმართა ფილადელფიელების წინ

16 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| სან ხოსე 0:0 ფილადელფია | ნიუჯერსი 2:2 ტორონტო 1:0 0:2 1:0 0:0 |
| რეინჯერსი 0:0 ატლანტა | მინესოტა 2:5 კოლორადო 0:1 1:3 1:1 |
| დეტროიტი 3:2 ვანკუვერი 2:2 0:0 1:0 | მონრეალი 4:1 პიტსბურგი 1:0 1:1 2:0 |
| კოლუმბუსი 2:1 ჩიკაგო 0:0 2:0 0:1 | ნეშვილი 4:1 სენტ ლუისი 1:0 1:1 2:0 |
| ტამპა 5:1 ფინიქსი 1:1 2:0 2:0 | ედმონტონი 4:1 ბუფალო 0:0 3:1 1:0 |

# ჭიმაობა ჰაერში

რიოს ხურუშპლაჟ კოპაკაბანაზე რაგინდარა ქვეყნიდან ჩასული მეპლაჟფრენბურთენი ერთმანეთს მსოფლიო პირველობას ეცილებიან. ეს ჰაერში გაჭიმული ბლანჟოსანი ბრაზილიელი ემანუელ რეგუა, ვინაც ესპანელთა მიერ დარტყმულ ბურთს იგერიებს... მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით 21:18, 21:12 დასრულებულა.




REUTERS რიო დე ჟანეიროდან



REUTERS აბუჯიდან

# კლარისას დაგრილება

ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში სრულიად აფრიკული თამაშები მიმდინარეობს. მადაგასკარელმა კლარისა რაზოარიზაიმ ეს-ესაა მარათონული გადარბენა მოიგო და ისე ახურდა, ორგანიზატორებმა მისი დაგრილება გადაწყვიტეს.



REUTERS ჰავანიდან

# კუბაბოლი

ბეისბოლი კუბელთა უსაყვარლესი სპორტია და იქაური ბიჭუკელები კეტებს ჰავანის არცთუ ფართო ქუჩებშიც ისეთივე ხალისით იქნევენ, როგორც რომ გაშლილ სარბიელებზე. ფიდელის სამწყსო 11-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით ბეისბოლში მსოფლიოს თასს მასპინძლობს და ეს ჰავანური ჩანახატებიც ამ ამბის ირიბი გამოხმაურება გახლავთ.



REUTERS ჰავანიდან

# ქმარწაღებულნი

ნიურის (შტატი მენი) „რივერ სკაი ერია“ ჩრდილოამერიკელ ცოლმთრეველთა მეოთხე პირველობას მასპინძლობს. ფოტოზე მაყან დობ სეიბს თანამეცხედრე კრისტინისთვის ფეხები აუპლაკინებია და ტრასის გაწყლოვანებულ უბანზე დაძაბული სახით მიათრევს.




REUTERS ნიურიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფილფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 42 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge